# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 დეკემბერი 2006 №283 (2905) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აგილ ათნოიპმეჩ

### წუხელ ევროპამ ფეხბურთს უკუღმა უყურა




AFP

## ეშმაკი მხოლოდ ეშმაკებს არ შეუძვრათ

| პირველი კალათა | | მეორე კალათა | |
|---|---|---|---|
| ჩელსი | ლიონი | ბარსელონა | რეალი |
| ბაიერნი | მანჩესტერი | ინტერი | სელტიკი |
| ლივერპული | არსენალი | პსვ ეინდჰოვენი | პორტუ |
| ვალენსია | მილანი | რომა | ლილი |

**მერვედფინალის წილისყრა 15 დეკემბერს გაიმართება**

# გარანტიას ვიძლევი, აღარ ვიჩხუბებთ

## კიკნაძემ პირველი ადგილი ფეხბურთელებს ჩაუთვალა



რუსთავის „ოლიმპი“ სეზონის დაწყების წინ შეიქმნა და ჩემპიონატის პირველი წრე პირველ ადგილზე ჩაამთავრა. „ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემაც დამოუკიდებლად პირველად გაწვრთნა გუნდი და პირველ წრეში აპირველა. როგორი იყო კიკნაძის თავდაჯერებულობა სეზონის დაწყების წინ? „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელთან ინტერვიუ აქედან დავიწყეთ...

— „ოლიმპის“ ფეხბურთელების უმეტესობას ჯერ კიდევ თბილისის „ლოკომოტივიდან“ მანამდეც კარგად ვიცნობდი. კარგად ვიცნობდი იმათაც, რომლებიც „თბილისიდან“ შეემატნენ „ოლიმპს“. თავიდან იმის იმედი მქონდა, რომ პირველ წრეს ზედა სამეულში ჩავამთავრებდით, მაგრამ მერე რეალურად გამოჩნდა პირველ ადგილზე გასვლის შანსი. მწვრთნელზე ბევრია დამოკიდებული, მაგრამ თუ შემსრულებლები არ გყავს, წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. მიმაჩნია, რომ „ოლიმპი“ საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული — პირველ რიგში სწორედ ფეხბურთელების კლასმა და გამოცდილებამ განაპირობა „ოლიმპის“ ასეთი შედეგი.

— პირველ წრეში „ოლიმპი“ ერთხელ დამარცხდა — „დინამოსთან“ 0:1 წააგო. დრომ ალბათ მოგცათ იმის შესაძლებლობა, უფრო კარგად გაგეანალიზებინათ ის მარცხი...

— იყო რაღაც მომენტები, რამაც განაპირობა ეს მარცხი. ყველამ ყველაფერი იცის, რაც მოხდა, მაგრამ თავი დავანებოთ იმასაც, რომ ჩვენ სასარგებლოდ ასპროცენტიანი პენალტი არ დაინიშნა — ამ წაგებას ყველაზე უფრო საგოლე მომენტების ვერგამოყენებას დავაბრალებ.

— „ოლიმპს“ ჩხუბისთავი გუნდის იმიჯი შეექმნა — ინციდენტი მოხდა როგორც „დინამოსთან“, ასევე „ვიტ ჯორჯიასთან“...

— დაძაბულ თამაშებში ინციდენტები ხდება ხოლმე, მაგრამ ეს გასამართლებელი საბუთი არ არის. გარანტიას ვიძლევი, რომ მომავალში, რაც არ უნდა მოხდეს და რაც უნდა მართლები ვიყოთ, „ოლიმპის“ მხრიდან ჩხუბი ან სხვა რაიმე ინციდენტი არ მოხდება. „დინამოსთან“ მატჩში მომხდარი აყალმაყალის გამო თორნიკე აფციაურს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მომდევნო პრინციპულ და დაძაბულ შეხვედრაში „ამერთან“ აფციაურს უკვე მოხდილი ჰქონდა დისკვალიფიკაცია, მაგრამ რადგან ორი თამაში გამოტოვა, სათანადო კონდიციაში ვერ იყო და „ამერთან“ თავი სრულად ვერ წარმოაჩინა.

— „ამერთან“ 2:0 იგებდით, მაგრამ ასეთი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეთ და მატჩი 2:2 დასრულდა...

— 2:0-ის შემდეგ ორი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი რომ გამოგვეყენებინა, შეხვედრა სულ სხვა ანგარიშით დასრულდებოდა.

— როგორც ჩანს, „ოლიმპისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია ცენტრფორვარდის პოზიციაზე გაძლიერება — თქვენთან კარგა ხანს ვარჯიშობდა ლევან მელქაძე — არის პერსპექტივა, რომ მან „ოლიმპში“ ითამაშოს?

— ყველანაირად ვცდილობ, მის დაყოლიებას. კარგი იქნება, თუ მაისამდე მაინც იქნება ჩვენთან. ლევანს თავისი აზრი აქვს, თუმც იმედია, მის დათანხმებას შევძლებთ. ისე კი, ორი-სამი ფეხბურთელით ვაპირებთ გაძლიერებას.

— თქვენ გარდა ჩემპიონობისთვის „ამერი“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“ და „დინამო“ იბრძვიან — მათგან პირველ წრეში ყველაზე უფრო რომელი მოგეწონათ?

— „ვიტ ჯორჯია“, მიუხედავად იმისა, რომ 4:0 მოვუგეთ და თემურ მახარაძის გაწვრთნილი „ზესტაფონი“. ძალიან კარგი გუნდია „ამერიც“, მაგრამ „ვიტ ჯორჯია“ და „ზესტაფონი“ უფრო მომეწონა.

— „დინამოზე“ არაფერი გითქვამთ...

— თასზე „დინამოს“ მეორე გუნდით მოვუგეთ 3:2. რაც უნდა მოხდეს, „დინამომ“ უმაღლესი ლიგის გუნდის მეორე შემადგენლობასთან არ უნდა წააგოს.

— პირველი წრის მიხედვით საქართველოში ყველაზე საინტერესო ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ?

— პირველი წრე განსაკუთრებული გამოდგა აფციაურისთვის, დიდი პოტენციალი აქვს ამერელ რატი წინამძღვრიშვილს, ძალიან საინტერესო ფეხბურთელია ტორპედოელი დავით გამეზარდაშვილიც.

**დავით თავართქილაძე**

## შოთადან დემემდე

გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგი“ დიდხანს არ დარჩენილა უმწვრთნელოდ — „დემეს“ კვლავ უცხოელი, კარგად ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი, 59 წლის კო ადრიანსე გაწვრთნის.

2005-06 წლების სეზონში ადრიანსეს გაწვრთნილი „პორტუს“ პორტუგალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა. 2004-05 წლებში კი იგი კიდევ ერთ ქართველ ფეხბურთელს, შოთა არველაძეს წვრთნიდა და მისი ხელმძღვანელობით „ალკმაარი“ ჰოლანდიის ვიცე-ჩემპიონი გახდა. და უეფას თასის ნახევარფინალში გააღწია.

„პორტუს“ და „ალკმაარის“ გარდა ადრიანსე „ზვოლეს“ „დენ ჰაავს“, „ტილბურგს“ და „აიაქსს“ ედგა სათავეში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## დილას ვადა და ვალები

**გორის** „დილა“, ისევე, როგორც ქართული გუნდების უმეტესობა, ახლა უქმადაა. გუნდი 26 დეკემბერს შეიკრიბება, მაგრამ როგორი იქნება „დილა“ მეორე წრეში, ჯერ კაცმა არ იცის. მწვრთნელი კვლავაც რევაზ მამესწარაშვილია, ფეხბურთელებიდანაც არავინ წასულა გუნდიდან.

ერთი კია, გორში იმედი აქვთ, რომ კლუბს სპონსორი გამოუჩნდება. ამ დროს კი, „დილას“ 30 000 ლარამდე დავალიანება აქვს, ლაპარაკი საწევრო თანხაზეა — პროფლიგა მკაცრად მოითხოვს, მეორე წრის დაწყებამდე ყველა მოვალემ დაფაროს თანხა...

**ილია ნანოგაშვილი**

# ჩვენი ჩასემი ჩვენთან

## სიონის «იგი წავა და სხვა მოვა»



ერიკ რომეო ჩასემი არ იყიდება







დავით ჭიჭველიშვილს, ზურაბ ბათიაშვილს და ლევან შავგულიძეს „სიონთან“ კონტრაქტები დაუმთავრდათ

**დღეს** ბოლნისის „სიონი“ კრებას გამართავს, სადაც კლუბის ხელმძღვანელობა პირველ წრეს მიმოიხილავს და, ასე ვთქვათ, ანალიზს გაუკეთებს.

თქმა რად უნდა, „სიონმა“ ის შედეგი ვერ აჩვენა, რაც მოქმედ ჩემპიონს შეეფერება — გუნდი ცხრილის შუაშია, თითქმის ყველა ლიდერთან წააგო მატჩები და ახლახან საქართველოს სუპერთასიც დათმო.

...მაგრამ ეს ყველაფერი მოსალოდნელიც იყო, რაკილა ბოლნისელებს აშკარად არ ჰყოფნით ძლიერი ფეხბურთელები, შემადგენლობის მხრივ ისინი ლიდერთა ხუთეულს ნაღდად ვერ გაუტოლდებიან.

დღევანდელ კრებაზე გუნდიდან წამსვლელდამრჩენ ფეხბურთელებზეც ითქმება.

„კონტრაქტი დაუმთავრდათ დავით ჭიჭველიშვილს, ზურაბ ბათიაშვილს და ლევან შავგულიძეს. ერთი თვის წინ კი თენგიზ სიჭინავამ ითხოვა გათავისუფლება და ჩვენც ხელი არ შეგვიშლია. სხვათა შორის, კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემის გადაბირების სურვილით ბევრმა კლუბმა მოგვმართა, თუმცა „სიონი“ მის გაყიდვას არ აპირებს“ — გვითხრა ბოლნისური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

აქვე გეტყვით, რომ ჩასემს, ისევე, როგორც ბოიომო ფრიდოლინსა და გასტონ ევოჩეს, „სიონთან“ 2+1-წლიანი კონტრაქტი აქვს.

ჭიპაშვილის თქმით, გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელს დაითხოვენ და უფრო ძლიერ მოთამაშეებს მიიყვანენ.

როგორც იცით, იანვარში „სიონი“ მოსკოვში, „თანამეგობრობის თასზე“ სათამაშოდ მიემგზავრება და კლუბის ხელმძღვანელობა ფიქრობს, თუ შემადგენლობა არ მოეფერიანდა, დიდი შანსია, მოსკოვში შევრცხვეთ.

მოკლედ, დღეს „სიონის“ ბანაკიდან შეიძლება, საინტერესო ამბები შევიტყოთ.

**ილია ნანოგაშვილი**





გრიგოლ ხურციძე და აკაკი ბობოხიძე

# ვის ვერწმუნოთ?
## ბობოხიძემ ბაზა და სამი ტუზი ნახა

**პრეზიდენტის** რწმუნებული იმერეთის მხარეში აკაკი ბობოხიძე ქუთაისის „ტორპედოს“ ბედით რომ დაინტერესდა, ადრეც ვწერდით. რწმუნებულად დანიშვნიდან მეორე დღესვე იგი „ტორპედოს“ ბაზას ეწვია და გუნდის მდგომარეობა მოიკითხა.

„ტორპედოს“ და „სამი ტუზის“ თანამშრომლობის ამბავი ცნობილია, თუმცა ისიც გავიგეთ, რომ „სამი ტუზის“ წარმომადგენლები და აკაკი ბობოხიძე ერთმანეთს რამდენჯერმე შეხვდნენ და დახურულ კარს მიღმა ისაუბრეს. მხარეებმა გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება მოახერხეს, მაგრამ მათი საუბრის დეტალებზე ბევრი ვერაფერი შევიტყვეთ. კულუარული ცნობით, ორივე მხარე ელის კლუბის პრეზიდენტ გრიგოლ ხურციძის გათავისუფლებას, რომლის სასამართლო პროცესიც რამდენიმე დღეში უნდა გაიმართოს. სწორედ ამ სასამართლოზეა დამოკიდებული ბობოხიძისა და „სამი ტუზის“ ხურციძესთან შეხვედრის ბედი.

სანამ „ტორპედოთი“ ერთბაშად რამდენიმე მხარეა დაინტერესებული, გუნდი შვებულებაშია. გუნდში ჯერჯერობით ერთადერთი ცვლილებაა მოსალოდნელი — კაპიტანი დავით გამეზარდაშვილი ლატვიური „სკონტოს“ საკუთრებაა და შესაძლოა, „ტორპედო“ დატოვოს...

„პრობლემები სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, თორემ ასე არსებობა მეორე წრეში გაგვიჭირდება. ყველა გუნდი გაძლიერებაზე ფიქრობს და არც ისაა გასაკვირი, უხელფასო ფეხბურთელი ცხვირწინ რომ აგვაცალონ. ჯერჯერობით წასვლის სურვილი არავის გამოუთქვამს, მაგრამ... ერთია, გამეზარდაშვილი ჩვენ არ გვეკუთვნის და მასზე ვერაფერს ვიტყვი, თუმცა ესეც მოგვარებადია. თუ ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა, შევეცდებით, იგი გუნდში დავტოვოთ. ისე, უხერხულიც კია მისი ასეთ პირობებში გაჩერება — გამეზარდაშვილი საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა და იმ ხელფასით, რაც პირველ წრეში ჰქონდა, „ტორპედოში“ გაჩერებას ვერ მოვთხოვ“ — ეს ქუთათურთა მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა.

უკვე რა ხანია, „ტორპედოს“ მოლონიერებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ეს „დღეს-ხვალ“ არა და არ დაილია. ძოძუაშვილის თქმით, ყველაფერი ერთ კვირაში უნდა გაირკვეს. სხვები ორ-სამ დღეს ასახელებენ, ზოგმაც, დეკემბრის ბოლომდე არაფერი იქნებაო და... ელის „ტორპედო“ თოვლის ბაბუას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რუსთავის ოლიმპში ბრაზილიელები მოდიან

**რა** გუნდი იქნება ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი რუსთავის „ოლიმპი“ მეორე წრეში, ეს საკითხი გაურკვეველია, რამეთუ ჯერაც დაუდგენელია კლუბის სამომავლო ბიუჯეტი.

სავარაუდოდ, „ოლიმპი“ საგაისო პოლიტიკას სამ-ოთხ დღეში შეიმუშავებს და მერელა ამოძრავდება სატრანსფეროდ.

10-დან 15 დეკემბრამდე კი „ოლიმპში“ სამ ბრაზილიელს ელიან — როგორც შევიტყვეთ, კლუბს ეს ფეხბურთელები არ მოუწვევია, მათ თავს გამოთქვეს „ოლიმპში“ თამაშის სურვილი და კლუბიც გასინჯვაზე დათანხმდა.

**დავით თავართქილაძე**

# ტყუპთა ტყუპი სურვილი

**სამწვრთნელო** საქმის შესწავლას საქართველოს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელი შეუდგა — არჩილ არველაძე, ვისაც ნაკრებში 32 კეპი მოუხვეჭია და 6 გოლი გაუტანია, A ლიცენზიის აღებას ეშურება.



არჩილის ტყუპისცალმა შოთამ რამდენიმე თვის წინ „სარბიელთან“ ინტერვიუში გაამხილა, ფეხბურთელობას რომ შევეშვები, მწვრთნელობას ვაპირებო. მოკლედ, დიდი შანსია, არველაძეებმა მწვრთნელობაც ტყუპად დაიწყონ.

საქართველოში მწვრთნელთა მომზადების საქმეს კვლავ ჩვენი ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობს. ახლანდელ A ლიცენზიის კურსებზე, რომელსაც სულ თოთხმეტი მწვრთნელი ესწრება, კურსანტებს ლექციებს ფრანგი სპეციალისტი ჟაკ დე ვიმი უკითხავს, ვინც თავის დროზე დარსაძეს საქართველოს ნაკრების გაწვრთნაშიც ეხმარებოდა.

**დავით თავართქილაძე**

# კალათ-ბურთულები

**ხვალ** 15 საათზე პროფლიგის ოფისში დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის“ გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა გაიმართება.

წინასწარვე ცნობილია, რა ფორმით განაწილდებიან გუნდები კალათებში: შესარჩევ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები პირველ კალათაში არიან, შესაბამისად, მეორეადგილოსნები — მეორე კალათაში.

ამგვარად, „ზესტაფონის“, თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“ და ბოლნისის „სიონის“ სავარაუდო მეტოქეები თბილისის „ამერი“, საჩხერის „ჩიხურა“, „ბორჯომი“ და „ბათუმი“ არიან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანაჯგუფელები ერთმანეთს ვერ შეხვდებიან, ანუ წყვილები: „ზესტაფონი“ — „ამერი“, „დინამო“ — „ჩიხურა“, „ტორპედო“ — „ბორჯომი“ და „სიონი“ — „ბათუმი“ არ შედგება.

**კახა შალამბერიძე**

# ჭაბუკთა ლიგა
## პირველი წრის საბოლოო ცხრილები

1989-იანები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 13 | 1 | 0 | 64:9 | 40 |
| ოლიმპი | 14 | 11 | 2 | 1 | 25:7 | 35 |
| ამერი | 14 | 9 | 0 | 5 | 36:22 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 8 | 2 | 4 | 30:12 | 26 |
| ლოკომოტივი | 14 | 7 | 5 | 2 | 31:9 | 26 |
| ცხინვალი | 14 | 8 | 1 | 5 | 30:26 | 25 |
| მერანი | 14 | 8 | 0 | 6 | 25:17 | 24 |
| ტორპედო | 14 | 6 | 4 | 4 | 20:17 | 22 |
| ზესტაფონი | 14 | 6 | 2 | 6 | 31:23 | 20 |
| ბათუმი | 14 | 5 | 3 | 6 | 25:29 | 18 |
| ბორჯომი | 14 | 5 | 0 | 9 | 24:31 | 15 |
| ჩიხურა | 14 | 3 | 1 | 10 | 14:30 | 10 |
| კახეთი | 14 | 3 | 0 | 11 | 20:53 | 9 |
| სიონი | 14 | 2 | 0 | 12 | 18:56 | 6 |
| დილა | 14 | 0 | 1 | 13 | 5:57 | 1 |

1990-იანები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 12 | 1 | 1 | 41:7 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 4 | 1 | 38:6 | 31 |
| ჩიხურა | 14 | 9 | 3 | 2 | 40:11 | 30 |
| ოლიმპი | 14 | 9 | 2 | 3 | 45:11 | 29 |
| ამერი | 14 | 8 | 4 | 2 | 31:10 | 28 |
| ზესტაფონი | 14 | 7 | 4 | 3 | 23:13 | 25 |
| ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 19:11 | 25 |
| ლოკომოტივი | 14 | 6 | 1 | 7 | 32:20 | 19 |
| დილა | 14 | 5 | 3 | 6 | 17:23 | 18 |
| ბათუმი | 14 | 5 | 2 | 7 | 13:27 | 17 |
| მერანი | 14 | 4 | 2 | 8 | 17:33 | 14 |
| სიონი | 14 | 4 | 1 | 9 | 17:31 | 13 |
| კახეთი | 14 | 2 | 2 | 10 | 11:36 | 8 |
| ცხინვალი | 14 | 0 | 2 | 12 | 8:59 | 2 |
| ბორჯომი | 14 | 0 | 1 | 13 | 8:62 | 1 |

1991-იანები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 12 | 0 | 2 | 32:8 | 36 |
| ოლიმპი | 14 | 11 | 3 | 0 | 57:15 | 36 |
| ბათუმი | 14 | 10 | 1 | 3 | 32:13 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 2 | 3 | 21:10 | 29 |
| ამერი | 14 | 8 | 0 | 6 | 22:15 | 24 |
| მერანი | 14 | 7 | 2 | 5 | 26:23 | 23 |
| დილა | 14 | 6 | 3 | 5 | 24:20 | 21 |
| ლოკომოტივი | 14 | 4 | 6 | 4 | 20:25 | 18 |
| ტორპედო | 14 | 5 | 2 | 7 | 21:25 | 17 |
| ზესტაფონი | 14 | 5 | 1 | 8 | 26:34 | 16 |
| ბორჯომი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:18 | 16 |
| კახეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 16:21 | 13 |
| ჩიხურა | 14 | 3 | 1 | 10 | 19:34 | 10 |
| სიონი | 14 | 3 | 0 | 11 | 8:36 | 9 |
| ცხინვალი | 14 | 0 | 1 | 13 | 10:54 | 1 |


საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ გამგეობის

**განცხადება**

2006 წლის 29 დეკემბერს 14.00 საათზე ქ. თბილისში, ა. წერეთლის გამზ. №2-ში ჩატარდება საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ წევრთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. გამგეობის არჩევნები;
2. ფ.ს.კ. „დინამოს“ ფინანსური საკითხების განხილვა;
3. სხვადასხვა.

კლუბის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

*საქართველოს ფ.ს.კ. „დინამოს“ გამგეობა*


# დინამიური განრიგი და კეთილი რჩევა ხუთეულს



ნედ ზელიჩი „დინამოს“ ანთალიაში შეუერთდება

**თბილისის** „დინამო“ დღეს დიღმის ბაზაზე ამხანაგურად გაეჯიბრება თბილისის „ლოკომოტივს“, ხოლო შვებულებაში გუნდი 12 დეკემბრიდან გავა.

სეზონის განახლებისთვის მზადებას „დინამო“ 26 დეკემბრიდან შეუდგება, 2-6 იანვარს კი ბაკურიანის კლიმატით გაიმაგრებს ჯანს.

უცხოურ შეკრებებზე დუშან უჰრინის გუნდი 10 იანვრიდან გადავა — „დინამო“ თურქულ ანთალიაში ათ დღეს დაჰყოფს და მერე თბილისში დაბრუნდება. სეზონის განახლებამდე კი „დინამო“ კიდევ ერთხელ აპირებს ანთალიაში წასვლას.

ანთალიაში შეუერთდება გუნდს 35 წლის ავსტრალიელი მცველი ნედ ზელიჩი და მისი „დინამოში“ დარჩენა-არდარჩენაც თურქეთში უნდა გადაწყდეს. „დინამო“ ანთალიაში სხვა ახალი ფეხბურთელების გამოცდასაც აპირებს.

შეგახსენებთ, „დინამომ“ პირველი წრის დასრულების შემდეგ ხუთი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა — ლადო ახალაია, მიხეილ ბობოხიძე, შოთა გრიგალაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი და კახა მახარაძე — კლუბმა მათ ინტერვიუებისგან დროებით თავის შეკავება ურჩია...

**დავით თავართქილაძე**



# ოთარ მარცვალაძე ყავარჯნებს იშორებს

## დინამოში სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად არ გადმოვსულვარ

საქართველოს ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ ფორვარდი ოთარ მარცვალაძე ისევ უქმადაა და უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ, მაშინ, როცა „დინამო“ ვარჯიშს კვლავაც აგრძელებს, ჩვენიანი ყავარჯნებს ვერ შორდება.

გეხსომებათ, მარცვალაძე ერთი თვის წინ დაშავდა — მყესები გაუწყდა და ოპერაცია დასჭირდა. ამის გამო ოთარს სანაკრებო შეკრებაც გაუცდა და, რა თქმა უნდა, გარკვეული ხნით გუნდსაც დაშორდა.

ამასობაში კი, კიევის „დინამოს“ პრეზიდენტ გრიგორი სურკისის ცნობილი განცხადებაც გავრცელდა, კლუბში ბევრი უმაქნისი ლეგიონერია და ზამთრის შესვენებაზე მათთან კონტრაქტების განწყვეტა მოგვიწევსო...

—ვფიქრობ, სურკისის ეს განცხადება ქართველებს არ გვეხება. ტრავმირებულს, აბა, რისი გაკეთება შემიძლია?! „დინამოში“ ყოფნის პერიოდში უკვე მეორედ დავშავდი და მთელი ძალით ათამაშების საშუალება არ მქონია, დავით იმედაშვილი კი ნელ-ნელა უმატებს და გაზაფხულიდან ალბათ ძირითად შემადგენლობაში ხშირად იქნება — გვითხრა გუშინ ოთარ მარცვალაძემ — მოკლედ, კლუბის ხელმძღვანელობისთვის უკმაყოფილების საბაბი არ მიგვიცია. ისე კი, მართლაც არ არის გამორიცხული, ამ ზამთარში „დინამო“ რამდენიმე ლეგიონერმა დატოვოს.

**— შენი ჯანმრთელობის საქმე როგორ არის?**

— ყველაფერი კარგადაა, ჯერ ისევ ყავარჯნების დახმარებით კი დავდივარ, მაგრამ მომავალი კვირიდან აღარ დამჭირდება. მძიმე ტრავმა მქონდა, ორი მყესი გამიწყდა და ოპერაცია აუცილებელი იყო.

**— ვარჯიშს როდისღა განაახლებ?**

— რამდენიმე დღეში გაგვათავისუფლებენ, შვებულება გვეწყება. გუნდი 10 იანვარს შეიკრიბება და, როგორც ექიმები მეუბნებიან, სრული დატვირთვით შემეძლება ვარჯიშის განახლება. ტკივილები უკვე აღარ მაწუხებს და იანვრისთვის ჯანზე ვიქნები.

**— შვებულებას საქართველოში გაატარებ?**

— დიახ, რამდენიმე დღეში წამოვალ. მკურნალობას საქართველოში გავაგრძელებ, კიევში კი ნაახალწლევს დავბრუნდები და მზადებას შევუდგები.

**— „დინამო“ შეკრებას სად გეგმავს?**

— როგორც შარშან, ჯერ საამიროებში მივდივართ, შემდეგ კი ისრაელში.

**— მოკლედ, უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზად იქნები?**

— მგონი, სეზონის განახლებამდე ფორმის აღდგენა არ უნდა გამიჭირდეს. ახლა ჩემთვის მთავარია, ყავარჯნები გადავაგდო და ვარჯიშს შევუდგე. მერე კი კარგად მოვემზადები და ალბათ „დინამოს“ ძირითადშიც დავიმკვიდრებ ადგილს. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული — როგორც გამოვიჩენ თავს, იმის შესაბამისადაც მათამაშებენ. თავის გამოჩენა კი ძალიან მსურს, კიევში „დინამოს“ სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად არ ჩამოვსულვარ და იმედი მაქვს, მალე დავამტკიცებ, რომ ძირითადის ღირსი ვარ.

**კობა ინასარიძე**

# გიორგი ჭელიძე: თავდამსხმელების არ მეშინია



მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდ გიორგი ჭელიძეს აპრილის შემდეგ, ფაქტობრივად, ნორმალურად არც უთამაშია. ჯერ მუხლი, მერე კუნთი — გიორგი ტრავმებმა არ მოასვენა. თუმცა ახლა ჯანმრთელადაა და არდადეგებს მშობლიურ ქუთაისში ატარებს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელს ლოკომოტივური კონკურენცია არ აშინებს და ამავდროულად ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზეც ფიქრობს...

**— თითქმის შვიდი თვე გაგიცდა, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის საკმაოდ ბევრია...**

— აპრილში, მალტის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის შემდეგ მუხლი მეტკინა, მერე მოსკოვში რომ ჩავედი, კუნთი გამიწყდა. საფრანგეთში წავედი სამკურნალოდ და აღმოჩნდა, რომ კუნთი 15 სანტიმეტრზე მქონდა გაწყვეტილი. მართალია, პატარ-პატარა ადგილებზე იყო გაწყვეტილი, მაგრამ, შეიძლება ითქვას, მარჯვენა ფეხი, ფაქტობრივად, არ მქონდა.

**— პრემიერლიგის ბოლოსწინა ტურში პერმის „ამკართან“ შეცვლაზე ითამაშე. ამხელა შესვენების შემდეგ შენი თამაშით კმაყოფილი დარჩი?**

— კი, ნორმალურად ვითამაშე. შევედი და თამაში ამით მოვიგეთო, როგორ ვიტყვი, მაგრამ საგოლე პასი გავაკეთე. ყინვა იყო, ხალიჩაზე ვთამაშობდით და ბოლოსკენ კუნთი ამტკივდა, რის გამოც მწვრთნელმა გამომცვალა. მოკლედ, ბოლო წუთზე ჩემი შეცვლა ამით იყო განპირობებული და არა იმით, თითქოს ცუდად ვითამაშე.

**— მომდევნო სეზონსაც უეჭველად „ლოკომოტივში“ გაატარებ?**

— გადაჭრით ვერ ვიტყვი, მაგრამ ჯერჯერობით „ლოკომოტივში“ ვარ და არსად წასვლას არ ვაპირებ. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც წინადადებები მაქვს.

**— ახალი მწვრთნელი ოლეგ დოლმატოვი როგორი თვალით გიყურებს?**

— დოლმატოვს ჩემთან ბევრი არ ულაპარაკია, მაგრამ თუ ფორმაში ვიქნები, მათამაშებენ — ამას თქმა არ უნდა.

**— დოლმატოვი დროებითაა თუ ტოვებენ?**

— ჯერჯერობით მწვრთნელი ისევ დოლმატოვია და მის შეცვლაზე არაფერი გამიგია.

**— „ლოკომოტივის“ თავდასხმაში დიდი კონკურენციაა?**

— მძაფრი კონკურენციააო, ვერ ვიტყვი. თან შოტლანდიელი ოკონორიც წავიდა გუნდიდან.

**— მალხაზ ასათიანის ტრავმა, ალბათ, ძალიან დაეტყო გუნდს...**

— რა თქმა უნდა, ასეთი ფეხბურთელის გარეშე რომ გაჭირდებოდა, ლაპარაკი რად უნდა.

**— გაისად „ლოკომოტივის“ მიზანი მხოლოდ ჩემპიონობაა?**

— ჩემპიონობაც და თასიც. კარგა ხანია, „ლოკომოტივს“ ჩემპიონთა ლიგაშიც არ უთამაშია, ასე რომ...

**ილია ნანობაშვილი**

# წიტაიშვილი VS ქეცბაია



**საინტერესო** მატჩი გაიმართა კვიპროსის ჩემპიონატში — კლიმენტი წიტაიშვილი თემურ ქეცბაიას წინააღმდეგ.

ამ ტურამდე წიტაიშვილის აელ-ი და ქეცბაიას „ანართოსისი“ 21-21 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფდნენ და ესეც რომ არ იყოს, წიტაიშვილი ხომ ამ სეზონის წინს გადავიდა აელ-ში „ანართოსისიდან“, რომელშიც ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა.

რა მოხდა მაშინ და რატომ შეელია ქეცბაია წიტაიშვილს, ძნელი სათქმელია. ფაქტი ისაა, რომ ეს ორი ქართველი ახლა სხვადასხვა გუნდშია და ამ ტურში ერთმანეთს პირველად შეხვდნენ: „ანართოსისმა“ სტუმრად 2:0 იმარჯვა.

წიტაიშვილი მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე, ქეცბაია კი მწვრთნელობას დასჯერდა — ფამაგუსტელთა მოთამაშემწვრთნელს ტრავმა აწუხებს.

ამ მოგებით „ანართოსისი“ მესამე ადგილზე დამკვიდრდა და ცხრა ქულით ჩამორჩება ლიდერ აპოელ-ს.

შეგახსენებთ, რომ დიდი შანსია, ახალი წლიდან „ანართოსისში“ გიორგი ქინქლაძე დაბრუნდეს.

**ბაჩა შალამბერიძე**



# გაილარდის ლაშქრობა არაბებზე
## ფეხბურთი ფულში იხრჩობა



უილიამ გაილარდი

**უეფას** პრეს მდივანმა უილიამ გაილარდმა დაუფარავად განაცხადა რასაც ფიქრობდა: მილიარდერი მეპატრონეები ფეხბურთს ღუპავენ.

გაილარდს ლაპარაკის საღერღელი „ლივერპულისა" და „დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალის" დაახლოებამ აუშალა. მოგეხსენებათ, ეს ბიზნეს ჯგუფი, რომლის შეფი შეიხი მოჰამედ ბინ ალ მაქთუმი გახლავთ, მერსისაიდულ კლუბს 450 მილიონ გირვანქად ყიდულობს.

„აშკარაა, რომ საფრთხის წინაშე ვდგავართ — განაცხადა გაილარდმა — მოკლევადიან პერსპექტივაში პრემიელიგური კლუბები იხეირებენ და მილიარდერთა ფულით გაძლიერდებიან, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ინფლაციის სპირალი ჩანს. ევროპულ შეჯიბრებებს დესტაბილიზაცია ემუქრებათ. გახსოვთ, ამერიკელებმა თავიანთ სახეობებში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში სცადეს კონტროლის ხელში აღება. საამისოდ მათ ხელფასის მაქსიმუმი დააწესეს, მაგრამ უეფა ამას ვერ იზამს, რადგან ეროვნული ფედერაცია არ არის. ხელფასის მაქსიმუმი შეიძლება, მხოლოდ რომელიმე ქვეყანამ შემოიღოს. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში მდიდრებსა და ღარიბებს შორის დიდი ზღვარი გაჩნდება, შემდეგ კი სატრანსფერო თანხები სულ მეტად და მეტად გაიზრდება, სულ მეტად და მეტად გაიზრდება ხელფასებიც და მივიღებთ ინფლაციის თვალსაჩინო სურათს, რომელმაც შეიძლება ფეხბურთი მოსპოს. სწორედ ამიტომ აპირებს უეფა კლუბებისთვის დასახარჯი თანხის ლიმიტის შეთავაზებას. რაც უფრო მდიდარი ხალხი მივა სხვადასხვა კლუბის სათავეში, მით უფრო აუცილებელი გახდება ასეთი ლიმიტი. ამას რომ ვამბობთ, მეპატრონეთა ეროვნების კონტროლს სულაც არ ვგულისხმობთ. ჩვენთვის კლუბების მეპატრონეთა წარმოშობა აბსოლუტურად სულერთია, თუმცა არც იმას ვმალავთ, რომ მეპატრონეობის ესპანური მოდელი უფრო მოგვწონს. შეგახსენებთ, რომ ესპანეთში კლუბებს დიდი რაოდენობით ფანები ფლობენ".

მილიარდერ მეპატრონეთა სიუხვე, ჯერჯერობით ინგლისურ პრემიერლიგაშია. „ლივერპულის" მომავალზე გითხარით და „ჩელსის" ამბავი ხომ ისედაც ყველასთვის ნათელია — რუსი გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი ლონდონურ კლუბს საოცრად დიდ თანხებს ახარჯავს. „მანჩესტერ იუნაიტედს" ფლობს ამერიკელი მალკოლმ გლეიზერი, „ასტონ ვილას" კი მისი თანამემამულე რენდოლფ ლერნერი. მათ გარდა არიან ძველებიც — „ფულემის" პატრონი ეგვიპტელი მოჰამედ ალ ფაედია, ხოლო „პორტსმუთისა" ფრანგი ებრაელი ალექსანდრე გაიდამაკი.

და ბოლოს, ცოტა ხნის წინ, „ვესტ ჰემი" ისლანდიელმა ეგერტ მაგნუსონმა იყიდა.

**პაპუნა ძედია**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სული ნაყიდია, სხეულს ელიან
## კერჟაკოვი სევილიაში გაიპარა

**სევილიაში** დარწმუნებულები არიან, რომ ადრე თუ გვიან ალექსანდრ კერჟაკოვი „სანჩეს პისხუანზე" გადაბარგდება. მიუხედავად „ზენიტის" პროტესტისა — ჩვენს ფეხბურთელს აბეზარი სევილიელი აგენტები წამდაუწუმ ნუ აწუხებენო — ესპანელებს თავი ქუდში აქვთ და კერჟაკოვს ელოდებიან. საქმე იმაშია, რომ რამდენიმე კვირის წინ რუსმა მოთამაშემ „სევილიასთან" საიდუმლოდ ხელშეკრულება გააფორმა.

მადრიდული „ასის" ცნობით, კერჟაკოვთან საიდუმლო შეთანხმების ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ თუ ფეხბურთელი „სევილიაში" გადასვლაზე უარს იტყვის, ჯარიმად... 18 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს. ამის გამოა, ესპანური კლუბის თავკაცობა არხეინად. „სევილიას" პრეზიდენტი დელ ნიდო გუშინწინ მედიას რუსთან მიღწეულ შეთანხმებაზე ესაუბრა. და თუ კერჟაკოვს მთელი დარჩენილი ცხოვრება ვალების გადახდა არ უნდა, „ზენიტის" დატოვებაზე და ესპანეთში გამგზავრებაზე უნდა იზრუნოს.

გასარკვევი მხოლოდ ის რჩება, სლავი „სევილიაში" წელს გადავა თუ გაისად. შეიძლება „ზენიტი" ესპანელთა შეთავაზებას იანვარში დათანხმდეს, მაგრამ თუ ასე მოხდა, კერჟაკოვი ხუანდე რამოსის შეგირდი ერთი წლის შემდეგ გახდება, როცა „ზენიტთან" მის კონტრაქტს ყავლი გაუვა. ასეა თუ ისე, ჩრდილოელ მოთამაშეს სამხრეთული პრიმერადივიზიონი არ ასცდება — 18 მილიონი ევრო ფრიად ძნელი გადასახდელია.

პრეზიდენტი დელ ნიდო საცურველი მობურთალის ყიდვას 2 მილიონ ევროდ აპირებს. „ზენიტი" ამაზე ბობოქრობს, თანხა გვეცოტავებაო, მაგრამ გაისად ალექსანდრ კერჟაკოვი სანკტ პეტერბურგს მაინც უფასოდ დატოვებს და რუსებს ვინძლო სულ არარაობას 2 მილიონის აღება ერჩივნოთ.

სლავს კი ხელი უკვე „სევილიასთან" ოთხსეზონ-ნახევრიან კონტრაქტზე მოუწერია. ერთი სიტყვით, სენიორ დელ ნიდოს ყველაფერი კოხტად გაუჩარხავს. ახლა ანდალუზიურ კლუბში მარტო კერჟაკოვის ფიზიკურად ყოფნაა საჭირო (სული უკვე იყიდეს 18 მილიონად.)

ამასობაში კერჟაკოვზე ნადირობა ინგლისურმა „ნიუკასლმაც" მოინდომა. „კაჭკაჭები" „ზენიტს" ფორვარდში „სევილიაზე" მეტს, 2,5 მილიონ ევროს სთავაზობენ, თუმცა საეჭვოა, „ნიუკასლს" 18 მილიონი ევროს გადახდის იდეა ხიბლავდეს. ისე, კერჟაკოვით „სევილიას" დაუძინებელი მტერი „ბეტისიცაა" დაინტერესებული.

„ნიუკასლსა" და „ბეტისს" კი კაჭრობა ერთმანეთშიც გაუმართავთ — „სევილიას" მტერს ალბერტ ლუკე უნდა, „კაჭკაჭთა" კატალონიელი ფორვარდის ხელში ჩასაგდებად სამი მილიონი ევროს გადატებს აპირებს.

**ლადო ხომერიკი**

# ჩემი ფეხი ზიდანის თავია?
## ნედვედი ბუცებს გაიხდის და რკინის ქალამნებს ჩაიცვამს



**„იუვენტუსის"** ჩეხ ვარსკვლავს პაველ ნედვედს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ის კი გადაწყვეტილებას აპროტესტებს.

„თუ ეს პოლიტიკის ნაწილია, მაშინ სულ წავალ ფეხბურთიდან" — განაცხადა 2003 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა.

გავიხსენოთ ნედვედის გაძევების მიზეზი: პარასკევს „იუვენტუსი" „ჯენოას" ეთამაშა. მატჩი 1:1 დამთავრდა. მსაჯმა ფარინამ გენუელი ბეგასთვის ფეხის დაბიჯების გამო ნედვედს წითელი ბარათი აჩვენა თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ ჩეხმა მეტოქეს ფეხი განზრახ არც დააბიჯა. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ბეგასთვის ფეხის დაბიჯება კიდევ არ ყოფილა ნედვედის მთავარი დანაშაული. დისკვალიფიკაცია, თურმე, ხუთმატჩიანი იმიტომ არის, რომ მსაჯს განუცხადებია ნედვედმა მეც დამაბიჯა ფეხიო.

„ზინედინ ზიდანმა კაცს თავი ჩაარტყა და სამი მატჩი მიუსაჯეს, მე კი რა გავაკეთე ასეთი ხუთი თამაშით რომ მსჯიან? — იკითხა გაოცებისგან პირდაღებულმა ნედვედმა, რომელსაც „იუვეს" ხელმძღვანელებმა გაჩუმება და კომენტარისგან თავის შეკავება სთხოვეს, მაგრამ მან, როგორც ხედავთ, ყური არ ათხოვა — „თუ ეს ტენდენციაა, მაშინ მე ფეხბურთის თამაშს სულ დავანებებ თავს".

ნედვედის აგენტი მინო რიოლა: „პაველმა მითხრა, რომ მსაჯი ფარინა მატყუარაა. მას ფარინასთვის ფეხის ფეხზე დაბიჯება გუნებაში არც გაუვლია. დღეს მსაჯობას ბევრი კლუბი უჩივის, მათ შორის „ჩელსი", „ბარსელონა", „ინტერი" თუ „მილანი". პაველს სწამს, რომ „იუვენტუსს" დღემდე კალჩოპოლის გამო აზღვეინებენ, მაგრამ რაც მოხდა ფეხბურთელების ბრალი ხომ ნამდვილად არ არის. თუ მოვლენები მომავალშიც ასეთი ტენდენციით განვითარდება, მაშინ ისინი „იუვეს" მოკლავენ ან მინუს 40 ქულას მიუსჯიან. კიდევ, პაველი კატეგორიულად არ იზიარებს „იუვეს" პოზიციას და გაჩუმებას ვერ ამართლებს. მას სჯერა, რომ კლუბი ვალდებულია ყველაფერზე მკაფიო რეაქცია ჰქონდეს. „იუვენტუსმა" პატივისცემა უნდა მოითხოვოს. მოკლედ, თუ ვითარება არ შეიცვლება, პაველი თამაშს თავს დაანებებს. სასჯელი დანაშაულის ადექვატური უნდა იყოს და არა ზღვარგადასული. ჩვენ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ვაპირებთ ჩივილს. ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია თვენახევრიან უმოქმედობას ნიშნავს, ხოლო მოქალაქისთვის ამდენი ხნით მუშაობის უფლების წართმევა დაუშვებელია".

**პაპუნა ძედია**

# მშრალი იხვი

**„ხეტაფეს"** არგენტინელი მეკარე რობერტო კარლოს აბონდანსიერი ყველა დიდევროპულ ლიგის გუნდთა გოლკიპერებს შორის ერთადერთია, შინაურ არენაზე ამ სეზონში გოლი რომ არ გაუშვია. „კოლიზეუმ ალფონსო პერესი" წელს მადრიდის „რალმა", „დეპორტივომ", „ბილბაომ", „მალიორკამ", „რასინგმა" და „ლევანტემ" უგოლოდ დატოვეს. არგენტინელი კარის მცველის დაჯაბნვა ერთმა მათგანმაც ვერ მოახერხა.

ოკეანისგაღმელ კაცს აქამდე იტალიური „ლივორნოს" მეკარე მარკო ამელიასთან გაფთრებული ბრძოლა ჰქონდა, თუმცა ამელია ამ ომში სერია A-ს წინა ტურში დამარცხდ — იტალიელს მშობლიურ „არმანდო პიციზე" გოლი გაუტანეს.



აბონდანსიერომ პირველობისთვის მადლობა „კიევოს" ნიგერიელ ვიქტორ ბინიას უნდა უთხრას, რომელმაც მარკო ამელიას ორი გოლი შეუგდო. ახლა შეუვალთაგან მარტო აბონდანსიერი დარჩა — „ელ პატო" (იხვი), ევროპის ყველაზე „შინაური" გოლკიპერი.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

## A ჯგუფი

# რონალდინიო: ფეხები მაღლა!

**ბარსელონა 2:0 ვერდერი**

1:0 რონალდინიო (13), 2:0 გუდიონსენი (18)
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, მარკესი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ინიესტა (ხავი 73), მოტა (ტურამი 62), დეკუ, ჟიული (ესკერო 85), რონალდინიო, გუდიონსენი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ვერდერი: ვიზე, ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე (პუნტი 80), იენსენი, ფრინგსი, დიეგო, ბოროვსკი, კლოზე, უგო ალმეიდა (კლასნიჩი 71)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: პუიოლი, მოტა, ვომე, ფრინგსი, დიეგო
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
95 824 მაყურებელი

**ჩელსი 2:0 ლევსკი**

1:0 შევჩენკო (27), 2:0 რაიტ-ფილიპსი (83)
ჩელსი: ილარიო, პ. ფერეირა (დიარა 58), ბულარუზი, რ. კარვალიუ, ბრიჯი, ესიენი, ლამპარდი, ბალაკი, რობენი (რაიტ-ფილიპსი 69), შევჩენკო (კალუ 69), დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ლევსკი: მიტრევი, მილანოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი, ს. ანგელოვი, დიმიტროვი (ბალტანოვი 59), ბორიმიროვი, ბარდონი, ერომოიგბე, იოვოვი (კოპრივაროვი 70), დომოვჩისკი (გ. ივანოვი 75)
მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
33 358 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| ბარსელონა | 6 | 3 | 2 | 1 | 12:4 | 11 |
| *ვერდერი* | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 10 |
| ლევსკი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:17 | 0 |


მიროსლავ კლოზე

**ფრანკ რაიკარდის** „ბარსელონამ" „კამპ ნოუზე" შეკრებილი ათიათასობით ინჩასი არ დაადალატა და მერვედფინალში გასვლა პირველ ტაიმშივე გაინაღდა. კატალონიელებმა პირველ ნახევარ საათში ისე ითამაშეს, საამსეზონოდ რომ არ უბურთავიათ. „ბარსამ" „ვერდერი" მატჩის დაწყებისთანავე ლაღი, სწრაფი, ჭკვიანური და ამბიციური თამაშით შეავიწროვა. გავიხსენოთ — „ბარსელონას" გასულ სეზონში დიდი ჯილდოები ბურთაობის სწორედ მსგავსმა სტილმა მოუტანა. წელს კი რაიკარდის ბიჭები გულშემატკივარს სუპერფეხბურთს იშვიათად სთავაზობენ.

გაძეძგილი ტრიბუნების ქომაგობით გამხნევებულმა მასპინძლებმა ვიზეს კართან სახიფათო ეპიზოდები მალევე შექმნეს. მესამე წუთზე გუდიონსენმა ჟიულის პასს ვერ მიუსწრო, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ თავად ფრანგმა გაისროლა და ტიმ ვიზეს მთელი თავისი ოსტატობა აჩვენებინა. ორი საგოლე მომენტი პირველ ათ წუთში. „ბარსა" მოედნის ბატონ-პატრონი გახლდათ და ადგილობრივთა სრულ ბედნიერებას მარტო რონალდინიოს გოლი თუ აკლდა.

ბრაზილიელმა კარი საჯარიმო დარტყმისას დალაშქრა. მოვლენებს ცოტათი წინ გავუსწროთ და ავღნიშნოთ, რომ თამაშის მერე „ბარსას" სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი ჟურნალისტებთან აღფრთოვანებით გაიძახოდა — რაც გინდათ ის დაარქვით რონალდინიოს, გინდ ანგელოზი, გინდ დემონი, მაგრამ მისი ნიჭი რომ ამქვეყნიური არ არის, „ვერდერთან" შესრულებულმა ჯარიმამაც დაამტკიცაო. რა ქნა რონიმ? რა და როცა ბრემენელთა ცოცხალი კედელი და საერთოდ ალბათ ყველა, ვინც მატჩს თვალს ადევნებდა, ფიქრობდა ბრაზილიელი ვიზეს კარში ცხრიანს დაუმიზნებსო, კიჭამ დაბალი დაარტყა და ბურთი ამხტარი ცოცხალი კედლის ქვეშ გააძვრინა.

კატალონიელებმა მეტოქეს სულის ამოთქმის საშუალება არც გოლის შემდეგ მისცეს. მასპინძლები გააფთრებით უტევდნენ, რაც საბოლოოდ გუდიონსენის გოლით დასრულდა. კომბინაცია რონალდინიომ წამოიწყო, ლუდოვიკ ჟიულიმ გააგრძელა და ისლადნიელმა დაასრულა. ორი წუთის შემდეგ ჟიულის მესამის გატანაც შეეძლო, ოღონდ დარტყმა ზედმეტად ჩახვეული გამოუვიდა. თუმცა, მატჩის საუკეთესო ეპიზოდი ჯერ წინ გახლდათ.

გუდიონსენმა ოთხი ფეხბურთელი მოატყუა, დაარტყა და ძელს ხვთქა ბურთი. იქვე ჟიული იყო, ოღონდ ფრანგს რაღაც დაემართა და ცარიელ კარში გატანა ვერ მოახერხა. ეს ეპიზოდი ბარსელონელებმა 34-ე წუთზე გაჩარხეს.

ტაიმთაშორისის შემდეგ რაიკარდის შეგირდებმა თამაში ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს. „ბარსამ" ბურთი „ვერდერს" ჩააბარა და ცდა დაიწყო, აბა რა მოხდებაო. გერმანელებიც ეცადნენ და თითო-ოროლა სახიფათო ეპიზოდი გააზერხეს. იენსენმა ბურთი ძელს მოარტყა, ხოლო კლოზეს გასროლა ვიქტორ ვალდესმა მოიგერია. „ბარსელონას" კი მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ფასეული არაფერი შეუქმნია.

გუდიონსენმა და ჟიულიმ ვიზესთან პირისპირ ვიზიტები გააცუდეს. „ვერდერი" კი რაღაც ძალიან არაგერმანული გუნდია. შააფის მოწაფეებს საჰაერო იერიშებისთვის თამაშის მიწურულსაც არ მიუმართავთ, არადა ვინძლო ნებისმიერი სხვა ალემანური კლუბი მერტესაკერის და ნალდოს სიმაღლეს (ორივე 1,98 მეტია) შესაფერისად გამოიყენებდა.

მოკლედ, მერვედფინალში „ბარსელონა" გავიდა. დანარჩენი 15 დეკემბერს ლიგის კენჭისყრაზე გამოჩნდება.

**მაურინიუს** გუნდმა მერვედფინალს ჯგუფის ლიდერად მიაკითხა. „ჩელსიმ" შინაურ „სტემფორდ ბრიჯზე" მაჩანჩალა „ლევსკის" ძლივლად მოუგო. გოლები კი ანდრეი შევჩენკოს და შონ რაიტ-ფილიპსის ანგარიშზეა.

27-ე წუთზე, აუტიდან ბურთის მოწოდების შემდეგ რობენმა და ლამპარდმა შევა ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანეს და უკრაინელმაც დამაგვირგვინებელი დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა. რაიტ-ფილიპსმა კი მატჩის მიწურულს შეაგდო. ინგლისელმა კარვალიუს პასით ისარგებლა და საჯარიმოს მისადგომიდან „ლევსკის" კარი დალაშქრა. ბულგარულმა კლუბმა ჯგუფური ეტაპის ყველა მატჩი წააგო...

**ლადო ხომერიკი**

## B ჯგუფი

# პირველი ასიანი მეკარე

**ბაიერნი 1:1 ინტერი**

1:0 მაკაი (62), 1:1 ვიეირა (90)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი (დემიკელისი 72), ოტლი, სალიჰამიჯიჩი (დაისლერი 79), შვაინშტაიგერი, მაკაი (სანტა კრუზი 83), კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ინტერი: ტოლდო, მაიკონი, ანდრეოლი, სამუელი, მაქსველი, ძანეტი, ვიეირა, სოლარი (გროსო 83), ფიგუ (რეკობა 70), მარიანო გონსალესი, იბრაჰიმოვიჩი (კრესპო 46)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ვან ბომელი, სამუელი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
66 000 მაყურებელი

**სპორტინგი 1:3 სპარტაკი**

0:1 პავლიუჩენკო (7), 0:2 კალინიჩენკო (16), 1:2 ბუენო (31), 1:3 ბოიარინცევი (88)
სპორტინგი: რიკარდუ, მ. გარსია (ველოზუ 28), ტონელი, ა. პოლგა, რონი, მუტინიუ, პარედესი (ნანი 60), დიალო, ტელო, ბუენო (ალეშანდრუ 68), ლიდსონი
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
სპარტაკი: ზუევი, ჟირანეკი, ჟედერი, შტრანცლი, შიშკინი, ბისტროვი (ძიუბა 90), რ. კოვაჩი, ტიტოვი, მოცარტი, კალინიჩენკო (ბოიარინცევი 64), პავლიუჩენკო (ოვუსუ-აბეიე 73)
მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი
გაფრთხილება: პოლგა, ზუევი, ჟედერი
მსაჯი: ნიკოლაი ვოლკარცი (დანია)
37 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 3 | 3 | 0 | 10:3 | 12 |
| ინტერი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:5 | 10 |
| *სპარტაკი* | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| სპორტინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:6 | 5 |

**მიუნხენის** „ბაიერნის" კაპიტანი ოლივერ კანი გახდა პირველი მეკარე, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში 100 მატჩი უთამაშია. მისი დებიუტი 1994 წლის ოქტომბერში პსჟ-სთან შეხვედრაში შედგა. კანი მეექვსე ფეხბურთელია 100-იანი ზღვარი რომ გადალახა. რაულმა და მალდინიმ 106 მოაგროვეს, რობერტო კარლოსი მესამე ადგილზეა 104-ით, ხოლო დევიდ ბექემი 101-იანია. მას გარი ნევილი მოსდევს 100-ით.

„ბაიერნმა" ვერ მოუგო „ინტერს", მაგრამ ჯგუფში პირველი ადგილი შეინარჩუნა, რაც ფელიქს მაგათს ძალიან სურდა. „ინტერმა" მიჯრით მოგებული 11-მატჩიანი სერია შეწყვიტა, თუმც წაუგებელ შეხვედრათა რაოდენობა 12-მდე გაზარდა.

როი მაკაიმ მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა ანგარიში, ხოლო პატრიკ ვიეირამ თამაშის ბოლოს გაათანაბრა. „ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა ძალიან გამაბრაზა, მაგრამ მთავარია, რომ პირველი ადგილი შევინარჩუნეთ" — თქვა კლაუდიო პიზარომ. „ბაიერნმა" ჯგუფური ეტაპი წაუგებლად დაასრულა და ფელიქს მაგათსაც ეს უნდოდა, რადგან მერვედფინალში პირველ მატჩს სტუმრად ითამაშებს, საპასუხოს კი შინ. შარშან „ბაიერნი" ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და მერვედფინალში „მილანს" შეხვდა. პირველი მატჩი მიუნხენში 1:1 დასრულდა, ხოლო სტუმრად „ბაიერნმა" 1:4 წააგო. „ვფიქრობ, ფრე ლოგიკური შედეგია, თუმც არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჯგუფურ ეტაპზე ძალიან კარგად ვითამაშეთ. მალევე გავინაღდეთ საგზური მერვედფინალში, სადაც ერთადერთი გერმანული გუნდი ვიქნებით" — თქვა მაურინიუმ.



ფელიქს მაგათმა უძლიერესი შემადგენლობა ათამაშა, მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ეტაპზე გასული იყო და თქვა, რომ „ინტერი" ჩემპიონთა თასის მოგების უმთავრესი ფავორიტია. მილანელებსაც სურდათ პირველი ადგილი ჯგუფში, მაგრამ დაცვაში ჩადგნენ და კონტრშეტევებზე ითამაშეს.

39-ე წუთზე როი მაკაის შეეძლო მასპინძელთა დაწინაურება, თუმც ფეხი აერია და ბურთი კარს ააცილა. ტაიმის მიწურულს მარიანო გონსალესმა 25 მეტრიდან დაარტყა და ძელი შეატოკა.

მეორე ნახევრის დაწყებიდანვე „ბაიერნმა" ტემპს უმატა და ტოლდოსთან პირისპირ გასულმა მაკაიმ ანგარიში გახსნა. ძალიან უნდოდა კანს საიუბილეო მატჩში კარში მშრალად შეენახა, მაგრამ პატრიკ ვიეირამ ბოლო წუთზე მაინც დაამწუხრა.

რობერტო მანჩინიმ განაცხადა, რომ „ინტერი" იტალიის ჩემპიონობისთვისაც იბრძოლებს, თასისთვისაც და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებადაც.

„ჩვენ არ ვირჩევთ ტურნირებს. საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს საიმისოდ, რომ ყველა შეჯიბრის მოსაგებად იბრძოლოს. იტალიის თასის მატჩები იანვარ-თებერვალშია და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალამდე ქვეყნის თასის ფინალში ადგილი ეგებ კიდეც გავინაღდოთ. ლიგის მერვედფინალში „ჩელსისთან" შეხვედრას არ ვისურვებდი, თუმც ამ ეტაპზე ყველა მეტოქე ძლიერია".

ხავიერ ძანეტი: „ჩელსი" და „ბარსელონა" სხვებზე ძლიერები არიან, განსაკუთრებით „ბარსას" შეტევებია სახიფათო, რადგან ბევრი ტექნიკური ფეხბურთელი ჰყავს. არ უნდა გავიმეოროთ შარშანდელი შეცდომა, როცა „ვილიარეალი" შეგვხვდა და ჩვენ ყველა აშკარა ფავორიტად მიგვიჩნევდა".

**„სპარტაკმა"** ჩემპიონთა ლიგაში 22-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და უეფას თასის საგზური მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში „სპარტაკმა" ბოლო ექვსი წლის წინ, სწორედ „სპორტინგთან" იმარჯვა.

თამაშის დასაწყისშივე ვლადიმირ ბისტროვის აქტიურობით სტუმრებმა ორი გოლი გაიტანეს. ჯერ პავლიუჩენკომ შეაგდო მაკრატელა დარტყმით, შემდეგ კი ბისტროვმა ბურთი თავზე დაასვა კარის წინ ეულად დარჩენილ კალინიჩენკოს — 0:2. მასპინძლებმა მალევე შეძლეს სხვაობის შემცირება ბუენოს თავურით, თუმც მეორე ტაიმის მიწურულს „სპარტაკმა" მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა და ბოიარინცევმა წერტილი დასვა.

**ირაკლი ნინიძე**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

## C ჯგუფი

**გალათასარაი 3:2 ლივერპული**

0:1 ფაულერი (22), 1:1 ნეჯათი ატეში (24), 2:1 ოკანი (28), 3:1 ილიჩი (79), 3:2 ფაულერი (90)

გალათასარაი: მონდრაგონი, ჯიჰანი, ტომაში, ემრე აშიქი (ტოლგა 46), ერგუნი, საბრი, ინამოტო, ოკანი, კარუსკა (გიუვენი 75), უმით ქარანი, ნეჯათი ატეში (ილიჩი 45)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ლივერპული: დუდეკი, პელტიერი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი, ხ. ალონსო (როკე 84), პალეტა, გუტრიე (ლუის გარსია 66), ბელამი (კრაუჩი 74), ფაულერი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ინამოტო, პენანტი

მსაჯი: ოლეგარიუ ბენკუერენსა (პორტუგალია)

23 000 მაყურებელი

**პსვ 1:3 ბორდო**

0:1 ფობერი (7), 0:2 დალმა (25), 0:3 დარშევილი (37), 1:3 ალექსი (87)

პსვ: გომეში, კრომკამპი, ალექსი, ადო (კლუივერტი 46), რაიციგერი, მენდესი, სიმონსი, კოკუ, აისატი (კულინა 62), ფარფანი, ტარდელი (კონე 46)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ბორდო: რამე, ჟემანი, ენაკარხირე, სიდი, მარანჟი, ფობერი, მავუბა, დუკასი, დალმა (ობერტანი 80), დარშევილი (პერეა 70), ლასლანდი

მწვრთნელი: რიკარდო გომეში

გაფრთხილება: მენდესი, ფობერი, დარშევილი

მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)

30 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| პსვ | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| ბორდო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| გალათასარაი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:12 | 4 |

# სინტერკლაასი



სტეფან დალმამ კოხტა გოლი გაიტანა: მეკარეს ბურთი თავზე გადაავლო

**დიახ,** რობი ფაულერმა ჩემპიონთა ლიგაში კარიერის პირველი და მეორე გოლი გაიტანა, მაგრამ სტამბოლში ლივერპულელთა გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — 3:2 „გალათასარაიმ" მოიგო. მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ ფაულერმა ინგლისური გუნდის ღირსებაზე იზრუნა და არა ქულებზე, თუმცა ამ თამაშში მოპოვებული ქულები ხომ სატურნირო თვალსაზრისით არაფერს იძლეოდა. „ლივერპულის" მწვრთნელს რაფა ბენიტესს იმთავითვე ნათქვამი ჰქონდა, რომ ოთხ წამყვან ფეხბურთელს დაასვენებდა. ამ ოთხში იყო კაპიტანი სტივენ ჯერარდიც.

მოგეხსენებათ, „გალათასარაისა" და „ლივერპულის" შეხვედრა იმავე სტადიონზე გაიმართა, რომელზეც მერსისაიდელებმა 2005 წელს „მილანს" მოუგეს და ჩემპიონთა თასი აღმართეს. და, ალბათ, სწორედ ამ სარბიელზე ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდების, ლი პელტიერისა და დენიელ გუტრიეს თამაში ბენიტესის მხრიდან გათვლილი პედაგოგიური ნაბიჯი გახლდათ. „ლივერპულის" შემადგენლობაში გამოჩნდნენ მივიწყებულები ირჟი დუდეკი და რობი ფაულერიც, თუმცა მარტო პედაგოგიკასა და სხვა გარემოებებზე საუბარიც არ იქნება მთლად სწორი. საქმე ის გახლავთ, რომ მერსისაიდელებს ბიზნეს ჯგუფი „დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი" ყიდულობს, 450 მილიონ გირვანქას იხდის და, როგორც ამბობენ ზედ დიდძალ სატრანსფერო ფულსაც მოაყოლებს. ერთი სიტყვით, ბენიტესს ხელში დიდძალი თანხა ჩაუვარდება და დღევანდელ ფეხბურთელებს დიდ ლოლიავს აღარ დაუწყებს, ვინც არ მოეწონება გაუშვებს, მის ნაცვლად კი ახალს მოიყვანს. ამიტომაც ცდილობს ნებისმიერი ლივერპულელი თავის გამოჩენას და ესპანელი მწვრთნელისთვის თავისი შეუცვლელობის დამტკიცებას.

ვფიქრობთ, სწორედ ეს გამოუვიდა ფაულერს. თავდამსხმელმა, რომელიც ბოლო ხანს საერთოდ აღარ ჩანდა, შეხვედრაში ანგარიში გახსნა. საგოლე პასი მას კრეიგ ბელამიმ ჩააწოდა.

მაგრამ სტუმრების უპირატესობა მხოლოდ ორწუთიანი გამოდგა, რადგან მასპინძლნებმა სულ მალე ორი გოლი შეუგდეს.

პირველი ლივერპულელთა ესპანელი მცველის, ხაბი ალონსოს შეცდომის შედეგი გახლდათ. ალონსოს უკუპასი ნეჯათიმ კარიდან 20 მეტრში კიდეც ჩაჭრა და გოლიც მიაყოლა. დაცვის სისუსტემ გამოიწვია მეორე გოლიც, თუმცა ოკან ბურუქმა გოლიც ჩინებული შეაგდო.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ რა მდგომარეობაში შეხვდა ინგლისურ გუნდთან თამაშს „გალათასარაი" ლიგიდან უეფას თასზე გადასვლის შანსი დაკარგული და ზედაც, თურქეთის პირველობის ბოლო ტურში თანაქალაქელ „ფენერბაჰჩესთან" მარცხი... ასეთ პირობებში „ლივერპულის" ძლევა სტამბოლელებისთვის, ბუნებრივია, მხრებში გამართვას ნიშნავდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე კიდევ მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ. ჯერ, უმით ქარანმა ერგუნის პასს თავური დასცხო და ბურთი ძელს გაარტყა, შემდეგ კი მეჰმეთ გიუვენმა ჩააწოდა და საშა ილიჩმა მასპინძელთა მესამე გოლი შეაგდო.

სტუმრებმა, როგორც თავში ვთქვით, მაინც შეძლეს კიდევ ერთის გატანა — ფაულერმა ჯერმენ პენანტის პასი თავით კარში შეაგდო.

**„ბორდომ"** ლიგის მიმდინარე გათამაშებაში პირველი სტუმრობა მოიგო და ეს ლამაზად პირველსავე ტაიმში მოახერხა.

რატომ გაუშვა ერთბაშად სამი გოლი თითქოსდა სიმტკიცით ცნობილმა ეინდჰოვენელთა დაცვამ? ალბათ იმიტომ, რომ თამაში დიდი ჰოლანდიური დღესასწაულის, სინტერკლაასის საღამოს დაემთხვა. სინტერკლაასი ისაა, როდესაც წმინდა ნიკოლოზი (ანუ სანტა კლაუსი) ბავშვებს საჩუქრებს ურიგებს. დაგვეთანხმებით, ეს ყველაფერი რაღაცით შობას ჰგავს, ხოლო „ბორდო" ეტყობა, ძალიან ჰგავს ბავშვს...

**პაპუნა ქედია**

## D ჯგუფი

**რომა 1:0 ვალენსია**

1:0 პანუჩი (13)

რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ, ტონეტო, კასეტი, დე როსი (პეროტა 75), ვირგა (როსი 83), ტადეი, მანსინი, ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

ვალენსია: ბუტელე, კურო ტორესი, ნავარო, ალბიოლი, სერა, ხოაკინი, უგო ვიანა, პალარდო (კორკოლესი 90), ხ. ლოპესი (რომერო 74), ტავანო, აარონი (ინსა 27)

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

გაფრთხილება: სერა

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

45 000 მაყურებელი

**ოლიმპიაკოსი 1:1 შახტარი**

0:1 მატუზალემი (27), 1:1 კასტილიო (54)

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პანტოსი (კონსტანტინუ 75), ჟევლაკოვი, ჟულიო სეზარი, დომი (გეორგატოსი 83), მარიჩი, სტოლტიდისი, ჯორჯევიჩი, რივალდო, ბაბანგიდა (ბორხა 83), კასტილიო

მწვრთნელი: ლორენსო სერა ფერერი

შახტარი: შუსტი, სრნა, ჩიგრინსკი, კუჩერი, რაცი, ჟადსონი, მატუზალემი (დიულაი 77), ტიმოშჩუკი, ფერნანდინიო (ელანო 81), ბრანდაო, მარიკა (აგაჰოვა 66)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ბრანდაო, კუჩერი, შუსტი, რაცი, კონსტანტინუ, მარიჩი

გაძევება: რაცი (90)

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

31 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| რომა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | 10 |
| შახტარი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:11 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:11 | 3 |

# პანუჩი: გამოუშვით ლივერპული!



ფერნანდინიოს „შახტარმა" მარიჩის „ოლიმპიაკოსი" არ გაატარა

**„რომას"** ამ შეხვედრაში ქულაც ჰყოფნიდა, რათა მერვედფინალში გასულიყო და წესით, ტრავმების გამო ძალიან შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე „ვალენსიასთან" სასურველი შედეგის მიღწევა არ უნდა გასჭირვებოდა. თუმცა მამტჩამდე ცოტა ხნით ადრე გაირკვა, რომ დედაქალაქელთა კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი ვერ ითამაშებდა, რამაც „გლადიატორებს" დიდი ძალა მოაკლო. მის ნაცვლად ლუჩანო სპალეტიმ ძირითადში მირკო ვუჩინიჩი დააყენა.

საბოლოოდ „რომამ" მაინც მიაღწია მიზანს. ყველაფერი მე-13 წუთზე გადაწყდა, როცა როდრიგო ტადეის საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი ფილიპ მექსეშმა თავით კრისტიან პანუჩის დაუგდო და მასაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

დარჩენილ დროშიც მატჩი ლაღად და საკმაოდ სწრაფ ტემპში გაგრძელდა. „რომა" დაცვაში არ ჩაკეტილა, ხოლო „ვალენსიას" მეორე შემადგენლობა მონდომებით ბურთაობდა. საგოლე მომენტები ბლომად იყო, უფრო მასპინძლებს შეეძლოთ სხვაობის გაზრდა, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა. სტუმართაგან საუკეთესო შანსი „ემპოლის" ყოფილმა ფორვარდმა ფრანჩესკო ტავანომ გაუშვა.

ლუჩანო სპალეტი: „ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, ამ მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ. თან „ვალენსია" უმოტივაციო იყო და პრობლემებიც ნაკლებად შეგვიქმნა. იმედია, ზამთრის შესვენების შემდეგ სრული შემადგენლობით დავბრუნდებით და უფრო უკეთ ავთამაშდებით. ვის შევხვდებით მერვედფინალში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, იოლი მეტოქე არ არსებობს, შანსი კი ყველასთან გვექნება. თუმცა, ვფიქრობ, „ლიონი" და „ჩელსი" სხვებზე ცოტა წინ არიან."

„ამჟამად ჩემთვის ყველაფერი კარგად მიდის და იმედია, ასე გაგრძელდება. ამდენი წელია, რომში ვცხოვრობ და კიდევ დამრჩა უნახავი ადგილები. აქ ბედნიერი ვარ, ისევე როგორც ჩემი ოჯახი, ასე რომ, არსად წასვლას არ ვაპირებ. თან 33 წლის ასაკში კლუბის გამოცვლა ადვილი არ არის. მინდა, მერვედფინალში „ლივერპულს" შევხვდეთ, თუმცა „ენფილდზე" საოცარი ატმოსფეროა და იქ თამაში რთული იქნება. ძალიან ძლიერი ახლა არც „ბაიერნია". ვნახოთ, ვის გვარგუნებს წილისყრა. ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ" — თქვა გოლის ავტორმა პანუჩიმ.

**პირეოსელებს** აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ, რათა უეფას თასზე გადასულიყვნენ და ისინი თავიდანვე მიეძალნენ მეტოქეს. მასპინძლებმა დებიუტში სამი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი გააცუდეს, რისთვისაც მალევე დაისაჯნენ. 27-ე წუთზე ჟადსონის ჩაწოდებული ბურთი უმეთვალყურეოდ დატოვებულმა მატუზალემმა კარში გადაგზავნა და პირველი ტაიმი დონეცკელთა გამარჯვებით დასრულდა.

მეორე ნახევრის დებიუტში მილოშ მარიჩესა და რივალდოს კომბინაციას ნერი ალბერტო კასტილიოს გოლი მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებმა ბოლო წუთებზე მეტოქეს ნამდვილი შტურმი მოუწყვეს, საბოლოოდ ფრე „შახტარის" სასარგებლოდ და მირჩა ლუჩესკუს გუნდი უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში ითამაშებს.

# ბექემმა ცოლი ტომ კრუზს გაუგზავნა



**„დეილი მირორის“** ჟურნალისტებს ვიქტორია ბექემი ლოს ანჯელესის პრესტიჟულ უბნებში, ბევერლი ჰილზში და ჰოლივუდ ჰილზში უნახავთ, სადაც კეკლუცი პოში სახლის შეძენას აპირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ დევიდ ბექემი 2006-07-ის სეზონის დასასრულს შეიძლება სათამაშოდ რომელიმე ამერიკულ კლუბში გადავიდესო — აცხადებს „დეილი მირორი“.

ექსსპაის გოგო, რომელიც ამჟამად 32 წლისაა, ლოს ანჯელესში მეგობრებთან, სახელგანთქმულ ამერიკელ მსახიობ ტომ კრუზთან და მის მეუღლე კეიტ ჰოლმსთან ერთად ყოფილა. მეგობრებს პირველად მუშტრის თვალით 15 მილიონ დოლარად შეფასებული, ელეგანტური, ესპანურ სტილში გაწყობილი სასახლე შეუთავაზებიათ. მას უზარმაზარი საცურაო აუზიც ჰქონია. შემდეგ მხიარულმა კომპანიამ შვიდ და თორმეტმილიონიანი ვილები მოინახულა. პირველი მათგანიდან ლოს ანჯელესის საუცხოო ხედები დაგატკბობთ, ხოლო მეორე შესახედად შედარებით მოკრძალებულია, ოღონდ ტომ კრუზის სახლის მეზობლადაა.

დევიდ ბექემმა კი 2005 წელს კალიფორნიულ ქალაქში საფეხბურთო აკადემია გახსნა. მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველს ჟურნალისტებთან ადრეც უთქვამს და ახლაც ხშირად იმეორებს, კარიერის დასრულება ამერიკულ საფეხბურთო ლიგაში მინდაო. ესპანური და ინგლისური გაზეთების ცნობებით, ბექემის შეძენით კალიფორნიული „ლოს ანჯელეს გალაქსია“ დაინტერესებული.

**ლადო ხომერიკი**

# კამპო რადიოდან ბილბაოში

**„ბილბაოს“** ახალდანიშნული მწვრთნელი მანე ტრავმებით შეფერთხილი ნახევარდაცვის გაძლიერებას იანვრის სატრანსფერო ბაზარზე აპირებს. სავარაუდოდ, ბასკური ფლაგმანის წევრი ინგლისური „ბოლტონის“ ფეხბურთელი ივან კამპო გახდება.

„ინგლისურმა ფეხბურთმა ხალისი დამიბრუნა, მაგრამ უკვე დროა, სახლში დავბრუნდე“ — განაცხადა ივან კამპომ ესპანურ „პუნტო რადიოსთან“ ინტერვიუში. უკვე მეხუთე სეზონია, რაც ბასკი ფეხბურთელი ალბიონურ პრემიერლიგაში თამაშობს. ამჟამად კამპოს წარმომადგენლებს და „ბილბაოს“ აგენტებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და თუ რამე მოულოდნელ სირთულეს არ წააწყდნენ, კონტრაქტს იანვარში გააფორმებენ.

„ბილბაოში გადასვლის წინააღმდეგი არ ვარ. იქაურობას კარგად ვიცნობ. „სან მამესზე“ ეუსკადის (ბასკეთის) ნაკრების შემადგენლობაშიც მითამაშია, თუმცა ახლა „ბოლტონში“ ვარ და უპირველეს ყოვლისა, ამ კლუბის ინტერესებს ვითვალისწინებ“ — აღნიშნა ივან კამპომ.




მადრიდის „რეალის“ ყოფილ მოთამაშეს კონტრაქტით „ბოლტონთან“ თანამშრომლობა კიდევ ორი სეზონით უწევს. აღსანიშნავია, რომ გასულ ზაფხულს, ვიდრე ინგლისელებთან ხელშეკრულებას განაახლებდა, ივან კამპოს ხელში ჩაგდება „ბილბაოს“ უფასოდ შეეძლო, თუმცა მაშინ ბასკები ამას არ გეგმავდნენ. „ბილბაო“ ივან კამპოს ყიდვას ადრე, „რეალში“ თამაშის პერიოდშიც აპირებდა, მაგრამ მაშინ სატრანსფერო გარიგება ჩაიშალა. თუ გუნდმა საიანვროდ სასურველი მოთამაშის ყიდვა მოახერხა, ივან კამპო „სან მამესზე“ ტრავმირებულ პაბლო ორბაისს შეცვლის.

**ლადო ხომერიკი**



# კლინსი არენას უახლოვდება

**ამერიკულ პრესაში** გავრცელდა ჭორები, იურგენ კლინსმანი აშშ-ის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად უახლოეს ორ კვირაში დასახელდებაო. თუმცა ამერიკის ფეხბურთის ფედერაცია ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, შეთანხმებისთვის ჯერ არ მიგვიღწევიაო.

აშშ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ამ წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ვაკანტურია. გერმანიაში ამერიკელებმა წარუმატებლად ითამაშეს, რასაც ბრიუს არენას გადადგომა მოჰყვა. კლინსმანმა კი ეროვნული ნაკრები მესამე ადგილზე გაიყვანა და მერე, ადგილი იოაჰიმ ლიოვს დაუთმო. ამის შემდეგ აქტიურად ალაპარაკდნენ, კლინსი აშშ-ს ჩაიბარებსო.

მოგეხსენებათ, კლინსმანი დიდი ხანია, ამერიკაში, კერძოდ, კალიფორნიაში ცხოვრობს. მას მეუღლეც ამერიკელი ჰყავს და ამ ქვეყანაში თავს მშვენივრად გრძნობს. აშშ-ის ნაკრების მწვრთნელის ვინაობა ყველაზე გვიან იანვრის დასაწყისში უნდა დასახელდეს, სანამ ამერიკელები ახალ მოსამზადებელ პერიოდს დაიწყებენ. 20 იანვარს მათ დანიასთან ამხანაგური მატჩი ელით.

**კოკი კანდელაკი**

# დასჯილი და ამაყი

**იტალიის** ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა „გრაცია მაგაძინისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რამდენიმე საინტერესო განცხადება გააკეთა. ჯიჯის თქმით, მას ეამაყება, რომ მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალში „ბებერი ქალბატონი“ განსაკუთრებით დაისაჯა და განტევების ვაცად იქცა.

„პირადად მე მეამაყება, რომ დავისაჯე, რადგან ამან „იუვენტუსს“ რეაბილიტაციის შანსი მისცა. ახლა ელიტაში სუფთები და უფრო ძლიერები დავბრუნდებით. შეგვიძლია, თავაწეულებმა ყველას თვალებში შევხედოთ, რასაც სხვებზე ვერ ვიტყვი. არ მინდა, კონკრეტულად ვინმე დავასახელო, მაგრამ ბევრი კლუბი, რომელიც ასევე გარეული იყო მაქინაციებში, ფაქტობრივად, არც დასჯილა. „იუვენტუსმა“ ყველას მაგივრად აგო პასუხი და განტევების ვაცად იქცა. რამდენადაც ვიცი, ეს ყველაფერი სატელეფონო საუბრებს მოჰყვა და როგორ ფიქრობთ, განა სხვა გუნდების ჩინოვნიკები არ ლაპარაკობენ ტელეფონზე ან რამე საეჭვოს არ ამბობენ?“ — აღნიშნა 28 წლის გოლკიპერმა.

ბუფონი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ვარსკვლავს შორის, რომელიც „იუვეს“ სერია B-ში დაქვეითების მიუხედავად, კლუბში დარჩა. ზაფხულში ტურინელთა რიგები ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, პატრიკ ვიეირამ, ემერსონმა, ფაბიო კანავარომ, ჯანლუკა ძამბროტამ და ლილიან ტურამმა დატოვეს, თუმცა ჯიჯი მათ არ ამტყუნებს.

„გულმა დარჩენა მიკარნახა. წასულებს ვერ გაამტყუნებ, მათ ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღეს, ეს მე ვარ, ვინც სრულიად არალოგიკურად მოიქცა. როცა სერია B-ში დაგვაქვეითეს, ამასთან შეგუება ძალიან ძნელი იყო, თუმცა ამ კლუბმა იმდენი მომცა, რომ ასეთ დროს ზურგის შექცევა სწორი არ მეჩვენა. დიდ ფეხბურთელად სწორედ „იუვენტუსის“ წყალობით ვიქეცი. ოღონდ სად ვიქნები მომავალ სეზონში, ჯერ არ ვიცი, ეს გუნდის ამბიციებზე და იმდროინდელ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. მაგალითად, არჩევანის გაკეთება დღეს რომ მიხდებოდეს, წავიდოდი და კარიერას ალბათ სხვა ქვეყანაში გავაგრძელებდი“ — დასძინა ბუფონმა.

**გიორგი კაკაბაძე**



## ინგლისი

### პრემიერლიგა

### გადადებული მატჩები

**ტოტენჰემი 2:1 მიდლსბრო**

1:0 ბერბატოვი (48), 1:1 ჰუთი (80), 2:1 კინი (84)

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, კინგი, ლი, ლენონი, ზოკორა, ჰადლსტოუნი, მალბრანკი (კინი 81; მერფი 90), დეფო (ტაინიო 89), ბერბატოვი

**მწვრთნელი:** მარტინ იოლი

**მიდლსბრო:** შვარცერი, შავიერი, ჰუთი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი (არკა 46), კეტერმოლი (ვიდუკა 57), ბოატენგი, დაუნინგი, აიეგბენი, კრისტი (მორისონი 46)

**მწვრთნელი:** გარეთ საუთგეიტი

**გაფრთხილება:** არკა, ჰუთი, პოგატეცი

**გაძევება:** ბოატენგი (87), ზოკორა (88)

**მსაჯი:** ჰალსი

34 154 მაყურებელი

**ჩარლტონი 1:0 ბლექბერნი**

1:0 ელ კარკური (90)

**ჩარლტონი:** კარსონი, იანგი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, ტრაორე (დიავარა 26), სემი (მ. ბენტი 71), ჰიუზი, ფეიე, კიშიშევი (ჰოლანდი 88), რიდი, დ. ბენტი

**მწვრთნელი:** ლეს რიდი

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნილი, ოიერი, ანშო, გრეი, ემერტონი (პეტერი 62), სევიჯი, ბენტლი (თუგაი 46), პედერსენი (გალაჰერი 46), ნონდა, მაკკარტი

**მწვრთნელი:** მარკ ჰიუზი

**გაფრთხილება:** ჰიუზი, ნილი, ანშო

**მსაჯი:** ფოი

23 423 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 16 | 13 | 2 | 1 | 35:8 | 41 |
| ჩელსი | 15 | 11 | 2 | 2 | 25:8 | 35 |
| არსენალი | 15 | 7 | 4 | 4 | 25:12 | 25 |
| პორტსმუთი | 16 | 7 | 4 | 5 | 21:14 | 25 |
| ლივერპული | 16 | 7 | 4 | 5 | 19:15 | 25 |
| რედინგი | 15 | 8 | 1 | 6 | 17:18 | 25 |
| ევერტონი | 16 | 6 | 6 | 4 | 20:15 | 24 |
| ასტონ ვილა | 16 | 5 | 9 | 2 | 19:15 | 24 |
| ბოლტონი | 16 | 7 | 3 | 6 | 15:15 | 24 |
| ტოტენჰემი | 16 | 6 | 4 | 6 | 15:20 | 22 |
| სიტი | 16 | 5 | 5 | 6 | 13:17 | 20 |
| ფულემი | 16 | 5 | 5 | 6 | 16:23 | 20 |
| უიგანი | 14 | 5 | 3 | 6 | 17:20 | 18 |
| ბლექბერნი | 15 | 4 | 4 | 7 | 13:18 | 16 |
| მიდლსბრო | 16 | 4 | 4 | 8 | 13:21 | 16 |
| შეფილდი | 16 | 4 | 4 | 8 | 11:20 | 16 |
| ვესტ ჰემი | 15 | 4 | 2 | 9 | 10:18 | 14 |
| ნიუკასლი | 14 | 3 | 4 | 7 | 9:15 | 13 |
| ჩარლტონი | 16 | 3 | 3 | 10 | 12:23 | 12 |
| უოტფორდი | 15 | 1 | 7 | 7 | 10:20 | 10 |

# პოლონიუმი არსენალსაც ეთამაშება

**პოლონიუმ-210,** რომელმაც საფლავში ჩაიყვანა ყოფილი რუსი ჯაშუში ალექსანდრ ლიტვინენკო, „არსენალის“ სტადიონზეც აღმოჩნდა.

სკოტლანდ იარდის გამოკვლევით, პოლონიუმის კვალი, თუმც ძალან მცირე, სტადიონის ორ ადგილას იპოვეს თუმცა ხალხისთვის საშიში არ იყო.

რუსულმა „კომერსანტმა“ დაწერა, რომ ლიტვინენკო თავად იყო „არსენალ“ — ცეესკას თამაშზე თუმცა ბრიტანელები მის სიკვდილში მთავარ ეჭვმიტანილად ასევე კაგებეს ყოფილ აგენტს, ანდრეი ლუგავოის მიიჩნევენ, რომელიც დანამლეულებით იყო ამ მატჩზე და ამის შემდეგ შეხვდა ლიტვინენკოს.

ლუგავოი ამბობს, რომ ისა და მისი ორი ამხანაგი, დიმიტრი კოვტუნი და ვიაჩესლავ საკოლენკო შემთხვევით შეხვდნენ სასტუმროში ლიტვინენკოს, ცოტა დალიეს და თამაშზეც დაპატიჟეს, თუმცა, ამ უკანასკნელმა იუარა. ახლა ლუგავოი მოსკოვშია და იქ ჩასული სკოტლანდ იარდის გამომძიებლები მისი დაკითხვის ნებართვას ელიან რუსთა პროკურორისგან.

**ირაკლი გამყრელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნესტა გაჭრეს და გაკერეს

## პაოლო მალდინი ბუცებზე ფიქრობს



**იტალიის** ნაკრებისა და „მილანის“ მცველმა ალესანდრო ნესტამ ორშაბათს ოპერაცია გაიკეთა, რომელმაც ექიმების თქმით, წარმატებით ჩაიარა, მაგრამ ისინი ვერ აკონკრეტებენ, როდის დაუბრუნდება მინდორს.

„ალესანდრომ ოპერაცია მადონინას კლინიკაში გაიკეთა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და როდის დაუბრუნდება იგი მინდორს, ზუსტად რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი“ — ნათქვამია „მილანის“ ოფიციალურ განცხადებაში.

გუშინ ოპერაცია გაიკეთა „მილანის“ მეორე მცველმა სერჟინიომაც. ბრაზილიელი ვეტერანი, სავარაუდოდ, ამ სეზონში ველარ ითამაშებს და მან შესაძლოა, კარიერა დაამთავროს კიდეც ან სამშობლოში დაბრუნდეს და თამაში იქ გააგრძელოს.

„ამბობენ, თითქოს ფორვარდს ვეძებთ, მაგრამ ეს სიმართლე არ არის. შესაძლოა, იანვარში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მართლაც დავიმატოთ, მაგრამ დაცვის გასაძლიერებლად, რადგან ნესტასა და სერჟინიოს ტრავმებმა პრობლემა შეგვიქმნა“ — თქვა „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

„მილანის“ ვეტერანმა კაპიტანმა პაოლო მალდინიმ კი განაცხადა, რომ კარიერის დასრულება შესაძლოა, კიდევ გადადოს და ფეხბურთის თამაში გააგრძელოს. მოგეხსენებათ, მალდინი, რომელსაც მომავალ წელს 39 წელი შეუსრულდება, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას ამ სეზონის ბოლოს ფიქრობს.

„გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ასე ვთქვათ, 50 პროცენტია იმისი შანსი, რომ კარიერას ამ სეზონის ბოლოს დავასრულებ. ჩემს ასაკში ამაზე ფიქრი ნორმალურია, თუმცა თუ საკუთარ თავში მოტივაციას კიდევ ვიპოვნი და ტკივილიც ძალიან არ შემაწუხებს, თამაშს გავაგრძელებ. ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ახალი ცხოვრების დაწყება მომიწევს, რაც ადვილი არ იქნება. რაც შეეხება „მილანის“ პრობლემებს, ამჟამად ბევრი მოთამაშე გვყავს დაშავებული და ვფიქრობ, იანვარში ყველაფერი კარგად იქნება, ახალი შემართებით დავბრუნდებით“ — განაცხადა მალდინიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ექვსიანი ბაიანო

**ფერნანდო ბაიანოს** მიერ „მალიორკასთან“ გატანილმა გოლმა „სელტას“ ფორვარდი ბაიანო საამსეზონო პრიმერას ყველაზე გადამწყვეტ მეგოლედ აქცია. საერთო ჯამში, ვიგოელთა ბრაზილიელმა წელს 6 გოლი გაიტანა, რომელმაც „სელტას“ 8 ქულა მოუტანა. ამ ციფრებმა ბაიანო გადამწყვეტ მეგოლეთა შორის ყველაზე წინ დააყენა. მომდევნოები ურუგვაელი დიეგო ფორლანი და არგენტინელი მილიტო არიან.

მას შემდეგ, რაც ვიგოში თამაშობს, ბაიანოს მიერ მარტო „ბარსელონასთან“ გატანილ გოლს „სელტასთვის“ ქულები არ მოუტანია. კატალონიელებთან შეგდებული გოლის მიუხედავად, ის თამაში ვიგოელთათვის წაგებით დასრულდა. აი, „ხიმნასტიკასთან“, „ვალენსიასთან“ და „ბილბაოსთან“ ფერნანდოს იღბლიანი დარტყმები გუნდისთვის გამარჯვების მოტანით დამთავრდა. რაც შეეხება „სარაგოსას“ და „მალიორკას“, აქ ბაიანომ მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

პრიმერადივიზიონის საუკეთესო მეგოლეები ჯერჯერობით რონალდინიო, კანუტი და დიეგო მილიტო არიან (თითოეულმა მათგანმა 10 გოლი გაიტანა), მაგრამ ამ ჩაუქთა მიერ მეტოქეთა კარის დალაშქვრას გუნდებისთვის იმდენი ხეირი არ მოჰყოლია, როგორც ფერნანდო ბაიანოს ექვს გოლს.

საამსეზონოდ ბაიანომ, გადატვირთული კალენდრის მიუხედავად, პრიმერადივიზიონის ყველა მატჩში ითამაშა, მუდამ ძირითადში გახლდათ. მართალია, უეფას თასზე და კოპა დელ რეიზე ბრაზილიელი ყველა შეხვედრაში სასტარტო თერთმეტში არ ყოფილა, მაგრამ როცა მოედანზე შესვლის საშუალება მისცეს, მეტოქეებს თავისი ლაღი ფინტაობით ლახვარი ჩასცა.



„სელტას“ ერთი თავისებურებაც აღვნიშნოთ — 17 სექტემბრის შემდეგ ვიგოელებს ჩემპიონატის გასვლით მატჩებში წაგება არ უნახავთ. სექტემბერში „სელტა“ „მონჟუიკზე“ „ესპანიოლთან“ დაეცა, მას შემდეგ კი მარტო გამარჯვებას ან ფრეს აღნიშნავს.

**ლადო ხომერიკი**

# იანვრის დახლი

**„ლიონის“** მწვრთნელი ჟერარ ულიე იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას თავდამსხმელის ყიდვას აპირებს. ამჟამად „ლიონი“ ჩემპიონატში უახლოეს მდევარს 14 ქულით უსწრებს და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც გასულია, მაგრამ ბრაზილიელი მთავარმეგოლე ფრედი დაუშავდა და შეტევაში კაცი სჭირდება. „ჩვენი უმთავრესი მიზანი საფრანგეთის ზედიზედ მეექვსე ჩემპიონობაა. ეს იქნება ევროპის რეკორდი, რომლის გაუმჯობესებასაც, კარგა ხანს ვერავინ შეძლებს. მეორე მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. ესაც შესაძლებელია და მე ამისთვის ვიბრძოლებ“.

კარიმ ბენზემა და სიდნეი გოვუ, ისევე როგორც ფრედი, დაშავებულნი არიან და ჟერარ ულიემ იცის, რომ საახალწლოდ გუნდის თავდასხმის ხაზი უნდა გაძლიერდეს. „თუ ამ ფეხბურთელებით ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავალთ, მომდევნო ეტაპზე ძალიან გაგვიჭირდება. კლუბის პატრონმა იცის, რომ ჩვენ ახალი ფორვარდები უნდა ვიყიდოთ“.

გარდა ამისა, „ლიონის“ მწვრთნელი მზადაა, გზა გაუხსნას კლუბის აკადემიის აღზრდილებს, მაგალითად, ლოიკ რემის.

„ძირითად შემადგენლობასთან ერთად უკვე ვვარჯიშობ და მალე შევეჩვიე — განაცხადა რემიმ — როცა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ტრავმების შემდეგ დაბრუნდებიან, კვლავ სათადარიგოებში გადავალ, მაგრამ ყველაფერს ვილონებ, რათა პირველ გუნდში დავბრუნდე“.

**ირაკლი ნინიძე**



# სანტინის ეძებენ



**„ბეტისში“** კრიზისია. ესპანური გაზეთების ცნობით, კლუბის მთავარი აქციონერი მანუელ რუის დე ლოპერე მალე ანდალუზიელთა მწვრთნელად, ხავიერ ირურეტას ნაცვლად, სხვა სპეციალისტს დანიშნავს. მედია ამბობს, რომ ლოპერა „ბეტისში“ საპრეზიდენტო ცვლილებებით უფრო დაინტერესებული, მაგრამ დამრიგებლად „ხაბოს“ დატოვებასაც აღარ აპირებს.

სევილიურ კლუბში ირურეტას შემცვლელად საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ჟაკ სანტინი მოიაზრება. ესპანური „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, სანტინისთან მოლაპარაკებას უკვე აწარმოებენ და შეიძლება, „ხაბოს“ თანამდებობაც გალმა ჩაიბაროს.

„ბეტისის“ მწვრთნელობაზე სხვა სავარაუდო კანდიდატურაც არსებობს — ეს საფრანგეთის ოთხმოციანი წლების დიდი ნაკრების წევრი წარმოშობით ბასკი ლუის ფერნანდესია, თუმცა ლუისი ანდალუზიაში გადაბარგების შესახებ პრესასთან კომენტარებს არ აკეთებს.

„ბეტისი“ კი სადღეისოდ ესპანურ პრიმერაში მეჩვიდმეტეა და კრიზისი სტანჯავს. ამას წინათ გუნდის რომელიღაცა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს გაუმხილა, ირურეტა და მისი შეგირდები ერთმანეთს ჭამენ და კლუბში არაჯანსაღი ვითარებააო. სევილიელები ჯერ მედიასთან ამღერებულ ჩამშვებს ეძებენ, მერე კი იქნებ ახალი მწვრთნელიც გამონახონ...

**ლადო ხომერიკი**

# მარჩელო ლიპი: ლა სკუადრა

**მარჩელო ლიპიმ** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ფეხბურთში დაბრუნებას მომავალ სეზონამდე არ აპირებს. იტალიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატი რომ მოიგო, გადაწყვიტა, ერთი წლით დაესვენა და ამ პერიოდში რამდენიმე შემოთავაზება უარყო, მათ შორის მექსიკის ნაკრების.

გამოცდილი ტაქტიკოსის სახელს უკავშირებენ „ნაპოლის“, „მილანს“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და ასევე ინგლისისა და ესპანეთის ნაკრებებს. თავად სიგარის მოყვარულმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მაინცდამაინც გრანდის ჩაბარება არ სურს, მთავარია, ამბიციური გუნდი იყოს.

„რამდენიმე წინადადება მივიღე, მათ შორის არაევროპული გუნდებისა თუ ნაკრებებისაგან, თუმცა მომავალ სეზონამდე ფეხბურთში დაბრუნებას არ ვაპირებ და შესაბამისად, გადაწყვეტილებას მაისში მივიღებ. ჩავიბარებ თუ არა ისევ რომელიმე ეროვნულ ნაკრებს?



რატომაც არა, ყველა წინადადებას განვიხილავ“ — თქვა ლიპიმ თავისი ახალი წიგნის „ლა სკუადრას“ პრეზენტაციისას, რომელიც ჟურნალისტ როზა ალბერონისთან ერთად დაწერა გერმანიის მუნდიალსა და იტალიის ნაკრებთან ერთად თავის ტრიუმფზე.

**გიორგი ძაძამიძე**

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:45 | 6 | მანჩესტერი-სიტი | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 19:00 | 8 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 19:00 | 9 | მიდლსბრო-უიგანი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 19:00 | 10 | პორტსმუთი-ევერტონი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 11 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 19:00 | 12 | უოტფორდი-რედინგი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 19:00 | 13 | ლივერპული-ფულემი | 1.32 | 4.60 | 9.50 | 1.02 | 1.15 | 3.09 |
| 21:15 | 14 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 16 | ჩელსი-არსენალი | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 17 | შეფილდი-ასტონ ვილა | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 19 | პლიმუთი-ჰალი | 1.90 | 3.10 | 3.90 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 19:00 | 20 | საუთენდი-საუთჰემპტონი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 19:00 | 21 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 22 | ქოვენთრი-ბარნლი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 23 | ლიდსი-დერბი | 2.70 | 3.20 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |
| 19:00 | 24 | სანდერლენდი-ლუტონი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 25 | ბირმინგემი-პრესტონი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 26 | კრ. პალასი-კოლჩესტერი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 27 | კარდიფი-იფსვიჩი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 19:00 | 28 | ნორვიჩი-უენსდი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 29 | სტოკი-ქპრ | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:15 | 30 | ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 43 | ბორნმუთი-პორტ ვეილი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 23:45 | 44 | ბრაიტონი-ჩელტენემი | 1.75 | 3.00 | 4.50 | 1.10 | 1.25 | 1.79 |
| 19:00 | 45 | ჩესტერფილდი-ოლდემი | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 19:00 | 46 | ლეიტონი-ჰადერსფილდი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 47 | როტერჰემი-ბრისტოლი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 48 | ბლეკპული-სუონსი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 49 | ბრენტფორდი-ტრანმერი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 50 | ქრიუ-ნოტინგემი | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| 19:00 | 51 | ნორთჰემპტონი-დონკასტერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 52 | იოვილი-ჯილინგემი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 19:00 | 53 | კარლაილი-სკანთორპი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 54 | მილუოლი-ბრედფორდი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 67 | აკრინგტონი-დონსი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 68 | ბოსტონი-რექსემი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 69 | როვერსი-ჰარტლპული | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 70 | გრიმსბი-შრიუსბერი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 71 | სტოკპორტი-დარლინგტონი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 72 | ჰერეფორდი-ტორკი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 73 | მენსფილდი-ბერი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 74 | ნოტსი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 19:00 | 75 | უიკომბი-ბარნეტი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 76 | ჩესტერი-ლინკოლნი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 19:00 | 77 | როჩდეილი-პიტერბრო | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 19:00 | 78 | უოლსოლი-სუინდონი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 79 | ბარტონი-ალდერშოტი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 80 | ქროული-ტემუორთი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 81 | მორიკომბი-სტ.რეინჯერსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:00 | 82 | რაშდენი -ოქსფორდი | 4.70 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.22 | 1.11 |
| 19:00 | 83 | უოკინგი-კემბრიჯი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 84 | გრეისი-იორკი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 85 | ექსეტერი-დაგ ენდ რედი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 86 | ფორესტ გრინი-საუთპორტი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 19:00 | 87 | ჰალიფაქსი-სტ.ალბანსი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19:00 | 88 | კიდერმინსტერი-ალტრინჰემი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 19:00 | 89 | ნორთვიჩი-ვეიმუთი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 90 | სტივენეიჯი-გრეივსენდი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. 9 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 91 | აბერდინი-ფოლკირკი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 19:00 | 93 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 2.25 | 3.10 | 2.95 | 1.30 | 1.27 | 1.51 |
| 19:00 | 94 | ჰარტსი-მოზერუელი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 19:00 | 96 | კილმარნოკი-სტ.მირენი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 19:00 | 97 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1.57 | 3.50 | 5.00 | 1.08 | 1.19 | 2.05 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 98 | დანფერმლაინი-სელტიკი | 10.00 | 4.80 | 1.25 | 3.24 | 1.11 | 1.00 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 99 | ერდრი-გრეტნა | 6.00 | 4.20 | 1.40 | 2.47 | 1.13 | 1.04 |
| 19:00 | 100 | ლივინგსტონი-კლაიდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 101 | ქუინი-ჰამილტონი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 19:00 | 102 | როსი-პარტიკი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 103 | სტ.ჯონსტონი-დანდი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 104 | ლევერკუზენი-ჰერტა | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 105 | ბაიერნი-კოტბუსი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 18:30 | 107 | აინტრახტი-ვერდერი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 18:30 | 109 | ჰანოვერი-არმინია | 2.05 | 3.00 | 3.80 | 1.21 | 1.33 | 1.67 |
| 18:30 | 110 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.75 | 3.10 | 5.00 | 1.11 | 1.29 | 1.91 |
| 18:30 | 111 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.45 | 3.70 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.47 |
| 18:30 | 113 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 114 | შალკე-დორტმუნდი | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| 20:00 | 696 | ვოლფსბურგი-ალემანია | 1.70 | 3.20 | 5.10 | 1.11 | 1.27 | 1.96 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 117 | აუე-კობლენცი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 21:00 | 118 | ბურგჰაუზენი-ესენი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 21:00 | 119 | ლაუტერნი-კარლ ცაისი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 120 | დუისბურგი-პადერბორნი | 1.45. | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 17:00 | 121 | ფიურტი-უნტერჰახინგი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 17:00 | 122 | ჰანზა-მიუნხენი 1860 | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 17:00 | 123 | აუგსბურგი-ბრაუნშვაიგი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 17:00 | 124 | ოფენბახი-კიოლნი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 125 | ფრაიბურგი-კარლსრუე | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 126 | ჰამბურგი(მ)-მაგდებურგი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 127 | ზტ.პაული-ვუპერტალი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 135 | ჰოფენჰაიმი-ბაიერნი(მ) | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:00 | 136 | ზიგენი-დარმშტადი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 145 | აუსტრია-ზალცბურგი | 3.20 | 3.00 | 2.15 | 1.54 | 1.28 | 1.25 |
| 21:30 | 147 | გრაცერი-პაშინგი | 2.45 | 2.90 | 2.80 | 1.32 | 1.30 | 1.42 |
| 21:30 | 149 | მატერსბურგი-შტურმი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 21:30 | 151 | რიდი-რაპიდი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 144 | ალტახი-ტიროლი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:45 | 153 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 3.80 | 3.20 | 1.90 | 1.73 | 1.26 | 1.19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:45 | 154 | იანგ ბოიზი-სტ.გალენი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 20:45 | 155 | ციურიხი-სიონი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 156 | აარაუ-ბაზელი | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 19:00 | 157 | ლუცერნი-თუნი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 167 | რეჯინა-ასკოლი | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| 23:30 | 168 | პალერმო-ლივორნო | 1.70 | 3.10 | 5.50 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 169 | ატალანტა-მესინა | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| 18:00 | 170 | კალიარი-პარმა | 1.75 | 3.10 | 5.00 | 1.11 | 1.29 | 1.91 |
| 18:00 | 171 | კატანია-უდინეზე | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 18:00 | 172 | კიევო-ფიორენტინა | 3.00 | 3.00 | 2.35 | 1.50 | 1.31 | 1.31 |
| 18:00 | 173 | ემპოლი-ინტერი | 5.70 | 3.40 | 1.60 | 2.12 | 1.24 | 1.08 |
| 18:00 | 175 | მილანი-ტორინო | 1.25 | 4.70 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.37 |
| 18:00 | 177 | სამპდორია-სიენა | 2.00 | 3.10 | 3.80 | 1.21 | 1.31 | 1.70 |
| 23:30 | 178 | ლაციო-რომა | 3.10 | 2.90 | 2.40 | 1.49 | 1.35 | 1.31 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 180 | სპეცია-კროტონე | 2.20 | 2.70 | 3.45 | 1.21 | 1.34 | 1.51 |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 181 | ბარი-მოდენა | 2.00 | 2.70 | 4.00 | 1.14 | 1.33 | 1.61 |
| 19:00 | 182 | ბოლონია-ლეჩე | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 19:00 | 183 | ფროზინონე-ბრეშა | 2.55 | 2.60 | 3.00 | 1.28 | 1.37 | 1.39 |
| 19:00 | 184 | იუვენტუსი-ვერონა | 1.08 | 7.00 | 20.00 | 1.00 | 1.02 | 5.18 |
| 19:00 | 185 | მანტოვა-ალბინოლეფე | 1.95 | 2.60 | 4.50 | 1.11 | 1.36 | 1.64 |
| 19:00 | 186 | პესკარა-რიმინი | 3.70 | 2.70 | 2.10 | 1.56 | 1.33 | 1.18 |
| 19:00 | 187 | პიაჩენცა-არეცო | 1.50 | 3.30 | 7.50 | 1.03 | 1.25 | 2.29 |
| 19:00 | 188 | ტრევიზო-ჯენოა | 2.80 | 2.60 | 2.70 | 1.34 | 1.37 | 1.32 |
| 19:00 | 189 | ვიჩენცა-ტრიესტინა | 2.65 | 2.60 | 2.75 | 1.31 | 1.34 | 1.33 |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 190 | ჩეზენა-ნაპოლი | 2.70 | 2.60 | 2.85 | 1.32 | 1.38 | 1.35 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 213 | ბარსელონა-სოსიედადი | 1.17 | 6.30 | 12.00 | 1.00 | 1.06 | 4.13 |
| 23:45 | 220 | სევილია-რეალი | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 210 | ბილბაო-უელვა | 2.40 | 3.10 | 2.85 | 1.35 | 1.30 | 1.48 |
| 22:00 | 212 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 20:00 | 215 | სელტა-ვილიარეალი | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| 20:00 | 216 | ხეტაფე-ბეტისი | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 20:00 | 217 | ტარაგონა-ლევანტე | 2.45 | 3.10 | 2.85 | 1.36 | 1.31 | 1.48 |
| 20:00 | 218 | ოსასუნა-მალიორკა | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 20:00 | 219 | რასინგი-სარაგოსა | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 23:45 | 221 | ვალენსია-დეპორტივო | 1.65 | 3.40 | 5.30 | 1.11 | 1.25 | 2.07 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 222 | ალავესი-სიუდადი | 2.00 | 2.90 | 3.70 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| 21:30 | 224 | ალმერია-ლორკა | 1.75 | 3.10 | 4.60 | 1.11 | 1.26 | 1.85 |
| 21:30 | 226 | კასტელონი-სერესი | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| 21:30 | 229 | ნუმანსია-სპორტინგი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 21:30 | 232 | ვეცინდარიო-მალაგა | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 223 | ალბასეტე-ლას პალმასი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 15:00 | 225 | კადისი-ვალიადოლიდი | 2.50 | 2.90 | 2.75 | 1.34 | 1.30 | 1.41 |
| 20:00 | 227 | ჰერკულესი-ეხიდო | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 20:00 | 228 | მურსია-პონფერადინა | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 20:30 | 230 | რეალი(ბ)-სალამანკა | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 21:00 | 231 | ტენერიფე-ელჩე | 2.25 | 2.80 | 3.10 | 1.24 | 1.30 | 1.47 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 233 | ბორდო-რენი | 1.65 | 3.30 | 6.00 | 1.10 | 1.29 | 2.12 |
| 23:00 | 236 | ლორიანი-სედანი | 1.65 | 3.30 | 6.00 | 1.10 | 1.29 | 2.12 |
| 23:00 | 240 | მარსელი-მონაკო | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 23:00 | 241 | ნანტი-ლე მანი | 2.10 | 3.10 | 3.50 | 1.25 | 1.31 | 1.64 |
| 23:00 | 242 | ნიცა-ნანსი | 2.10 | 3.10 | 3.50 | 1.25 | 1.31 | 1.64 |
| 20:10 | 243 | ტულუზი-ლანსი | 2.15 | 3.10 | 3.25 | 1.26 | 1.29 | 1.58 |
| 23:00 | 244 | ტრუა-ოსერი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 23:00 | 245 | ვალენსიენი-სოშო | 2.55 | 3.00 | 2.80 | 1.37 | 1.33 | 1.44 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 234 | ლილი-სტ.ეტიენი | 1.75 | 3.30 | 4.75 | 1.14 | 1.27 | 1.94 |
| 23:45 | 238 | ლიონი-პსჟ | 1.45 | 3.70 | 8.00 | 1.04 | 1.22 | 2.52 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 277 | ჰერენვენი-როდა | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 278 | ჰერაკლესი-სპარტა | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 22:30 | 279 | ბრედა-ექსელსიორი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | [illegible] | [illegible] |
| 23:00 | 280 | გრონინგენი-პსვ | 5.50 | 3.30 | 1.60 | 2.06 | 1.23 | 1.07 |
| 23:00 | 282 | ნაიმეგენი-უტრეხტი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 283 | აიაქსი-ალკმაარი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 15:30 | 284 | ფეიენოორდი-დენ ჰააგი | 1.22 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.52 |
| 17:30 | 286 | ტილბურგი-ტვენტე | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 17:30 | 288 | ვიტესი-ვალვაიკი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:55 | 378 | ლილესტრიომი-ბრიონდბიუ | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 22:00 | 379 | აიკ-ელფსბორგი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:00 | 380 | ჰელსინგბორგი-ოდენსე | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 381 | ვიბორგი-ვოლერენგა | 2.50 | 3.30 | 2.60 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 22:30 | 382 | ბრანი-რუსენბორგი | 2.10 | 3.40 | 3.00 | 1.29 | 1.23 | 1.59 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 454 | ბრიუნესი-ფრიოლუნდა | 2.00 | 4.20 | 2.40 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| 22:00 | 455 | ჰვ 71-იურგორდენი | 1.50 | 4.40 | 3.70 | 1.11 | 1.06 | 2.00 |
| 22:00 | 456 | ლინჩიოპინგი-აიკ | 1.60 | 4.40 | 3.20 | 1.17 | 1.06 | 1.85 |
| 22:00 | 457 | ლულეო-მოდო | 2.05 | 4.10 | 2.30 | 1.36 | 1.08 | 1.47 |
| 22:00 | 458 | მორა-მალმიო | 1.80 | 4.20 | 2.70 | 1.25 | 1.08 | 1.64 |
| 22:00 | 459 | ტიმრე-ფერიესტადი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 472 | ჰელსინკი-კალპა | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| 20:30 | 473 | ილვესი-იოკერიტი | 2.50 | 4.20 | 1.90 | 1.56 | 1.07 | 1.30 |
| 20:30 | 474 | იუვესკიულე-ესეტი | 1.85 | 4.10 | 2.60 | 1.27 | 1.08 | 1.59 |
| 20:30 | 475 | კერპეტი-სეიპა | 1.40 | 4.40 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.22 |
| 20:30 | 476 | ლუკო-ესპოო | 2.10 | 4.00 | 2.30 | 1.37 | 1.09 | 1.46 |
| 20:30 | 477 | პელიკანსი-ჰაამეენლინა | 2.30 | 4.00 | 2.10 | 1.46 | 1.09 | 1.37 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 478 | ტურკუ-ტაპარა | 2.00 | 4.00 | 2.50 | 1.33 | 1.11 | 1.53 |
| | | **ჰოკეი.. გერმანია** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 515 | მანჰაიმი-ფრანკფურტი | 1.70 | 4.30 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.73 |
| 22:30 | 516 | ჰანოვერი-ინგოლშტადი | 2.10 | 4.10 | 2.25 | 1.38 | 1.08 | 1.45 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 517 | აისბარენი-იზერლონი | 1.70 | 4.20 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.71 |
| 22:30 | 518 | აუგსბურგი-ჰამბურგი | 2.30 | 4.10 | 2.05 | 1.47 | 1.08 | 1.36 |
| 22:30 | 519 | სტრაუბინგი-დუისბურგი | 1.70 | 4.30 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.73 |
| 22:30 | 520 | ნიურნბერგი-კრეფელდი | 1.75 | 4.30 | 2.85 | 1.24 | 1.08 | 1.71 |
| 22:30 | 521 | დიუსელდორფი-კიოლნი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 531 | ცუგი-ბაზელი | 1.60 | 4.40 | 3.40 | 1.17 | 1.08 | 1.91 |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 532 | დავოსი-ციურიხი | 1.60 | 4.30 | 3.50 | 1.16 | 1.09 | 1.92 |
| 22:45 | 533 | ფრიბურგი-ცუგი | 2.30 | 4.10 | 2.10 | 1.47 | 1.09 | 1.38 |
| 22:45 | 534 | კლოტენი-ბერნი | 2.20 | 4.00 | 2.30 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 22:45 | 535 | რაპერსვილი-სერვეტი | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:15 | 686 | დინამო-ეფესი | 1.30 | 12.00 | 2.90 | 1.17 | 1.00 | 2.33 |
| 21:15 | 687 | ციბონა-რომა | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 22:45 | 688 | პანათინაიკოსი-მაკაბი | 1.15 | 12.00 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 3.00 |
| 22:45 | 689 | ქალგირისი-ორტეზი | 1.40 | 12.00 | 2.60 | 1.25 | 1.00 | 2.13 |
| 23:45 | 690 | ოლიმპია-ხუვენტუდი | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 23:45 | 691 | ბენეტონი-ნაპოლი | 1.15 | 12.00 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 3.00 |
| 23:45 | 692 | ბარსელონა-არისი | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| | | **ხელბურთი. ქალები ეჩ 2006 შვედეთი** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 701 | გერმანია-პოლონეთი | 1.20 | 12.00 | 4.30 | 1.09 | 1.00 | 3.16 |
| 20:45 | 702 | რუსეთი-ხორვატია | 1.06 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 21:00 | 703 | ესპანეთი-ჰოლანდია | 1.45 | 9.00 | 2.80 | 1.24 | 1.00 | 2.13 |
| 21:00 | 704 | სერბეთი-მაკედონია | 2.10 | 9.00 | 1.70 | 1.70 | 1.00 | 1.42 |
| 22:15 | 705 | ნორვეგია-სლოვენია | 1.13 | 12.00 | 5.00 | 1.03 | 1.00 | 3.52 |
| 23:15 | 706 | უნგრეთი-ავსტრია | 1.10 | 10.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 3.93 |
| 23:15 | 707 | დანია-საფრანგეთი | 1.30 | 11.00 | 3.10 | 1.16 | 1.00 | 2.41 |
| 23:15 | 708 | უკრაინა-შვედეთი | 2.00 | 8.00 | 1.80 | 1.60 | 1.00 | 1.46 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 374 | პარმა-ნაპოლი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი




ზაზა ფაჩულიას მორიგი ორქულიანი

# ნეშმა მეფეს ეშვი გაჰკრა

5 დეკემბერი

**სიეტლი 102:87 ატლანტა**

**სიეტლი:** რიდნორი (14), უილკინსი (10), ლუისი (29), უილკოქსი (18), კოლისონი (11); უოტსონი (10), პეტრო (8), ფარმერი (2), გელაბალე, სენე, ვალქსი, გლინიადაკისი

**ატლანტა:** ბოზმანი (2), ჯონსონი (34), უილიამსი (1), სმიტი (11), ფაჩულია (30 წუთი, 10 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი); სტუდემაიერი (9), ლუ (8), ჯონსი (6), რაიტი (4), აივი (2), ფრეი

**ჰიუსტონი 118:90 გოლდენ სტეიტი**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (31), მინი (27), სპანულისი (13)

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (19), დევისი (18)

**ნიუ ჯერსი 75:92 დალასი**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (20), კრსტიჩი (18)

**დალასი:** ნოვიცკი (26 ქულა, 13 მოხსნა), ჰოვარდი (23)

**ფინიქსი 127:102 საკრამენტო**

**ფინიქსი:** ბარბოსა (26), მერიონი (23), სტუდემაიერი (17 ქულა, 13 მოხსნა), ნეში (11 ქულა, 20 პასი)

**საკრამენტო:** ბიბი (21), მარტინი (13)

**კლიპერსი 101:97 მაიამი**

**კლიპერსი:** ბრენდი (33 ქულა, 17 მოხსნა), მობლი (21)

**მაიამი:** ვეიდი (33), მურნინგი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**დეტროიტი 85:88 პორტლენდი**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (25), ბილაფსი (17)

**პორტლენდი:** რენდოლფი (31 ქულა, 13 მოხსნა), ჯეკი (18)

„ატლანტა ჰოქსს" კარგი შანსი მიეცა, გასვლაზე ზედიზედ მეორე თამაში მოეგო და ხუთმატჩა სტუმრიანობა ასე დაეწყო — „ქორების" მეტოქე „სიეტლ სუპერსონიქსს" ლიდერი და ბომბარდირი აკლდა, მატჩში საშუალოდ 25 ქულის მკეთებელი რეი ალენი და ისედაც ამ არცთუ ყოჩაღ გუნდს ერთი შეხედვით სულ გაეცრიცა ახალგაზრდულ და მოტივაციამომალებულ „ატლანტასთან" შანსი, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

ლიდერის არყოფნამ აშკარად შეაფხიზლა და ბოლომდე საბრძოლველად განაწყო სიეტლელები. მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს და საწყის მეოთხედში 11-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, შემდეგ პერიოდებში კი არაფერი დაუთმიათ. სიეტლელებს რაშარდ ლუისმა ულიდერა, ვინც პირველ ტაიმში 18 ქულა ჩააგდო და მას ისეთმა მოთამაშეებმა აუბეს მხარი, „სონიქსში" აქამდე მხოლოდ სათადარიგოთა სკამის შესავსებად რომ ვარგოდნენ.

მთლიანობაში კი „ატლანტასთვის" ეს სეზონის ერთ-ერთი ყველაზე უფერული თამაში იყო. „ქორებმა" რეგულარულის გარიჟრაჟზე შინაც დათმეს „ზებგერითებთან" და საერთოდ, მათ „სონიქსთან" 2003 წლის შემდეგ ზედიზედ მეექვსე თამაში წააგეს.

„ატლანტას" დარად დასავლელებთან შეხვედრებში არ გაუმართლათ სხვა აღმოსავლელებსაც — „ნიუ ჯერსი" შინ „დალასს" ვერ გასწვდა, ჩემპიონმა „მაიამიმ" ლოს ანჯელესში „კლიპერსს" მოუხარა ქედი და თვით „დეტროიტმაც" კი წააგო უხეირო „პორტლენდთან", თანაც შინ.

„კლიპერსის" ლიდერ ელტონ ბრენდს მთელი თვე არაფერი უკეთებია და თავისი გუნდის ჯახირს ხან ხელებჩამოშვებული შესცქეროდა და ხან ხელებგაშლილი. მაგრამ ბრენდმა მაინცდამაინც ჩემპიონთან გამოიღო თავი, 33 ქულა და 17 მოხსნა აძგერა „მაიამის" და მის ლიდერ დუეინ ვეიდს წყალში ჩაუყარა ასევე 33-ქულიანი შრომა. თუ ბრენდი ასე გააგრძელებს, მისი გუნდიც ამოისუნთქებს. „კლიპერსმა" სეზონი 5 მოგებით და 1 წაგებით დაიწყო, მაგრამ შემდეგი 9 თამაშიდან 7 წააგო და ერთხანს წყნარი ოკეანის დივიზიონის ფსკერზე დაყვინთა.

ამავე დივიზიონში ერთი უხვქულიანი თამაში გაიმართა. უფრო ზუსტად, თამაში კი არა, ერთ-ერთი გუნდი იყო უხვქულიანი — „ფინიქსმა" 127 ქულა ჩაუკალათა ამდივიზიონელ „მეფეებს" და პირველივე მეოთხედის 41:29 მოგებით აგრძნობინა, ვინ იყო ამ თამაშის ჭეშმარიტი მეფე და ბატონი.

ზღაპრულად ითამაშა წინა ორი სეზონის უძვირფასესმა, ანუ საუკეთესო მოთამაშე სტივ ნეშმა. თავისთავად, მის მიერ გაკეთებული 11 ქულა ბევრს არაფერს ნიშნავს, ეს კაცი სულ სხვა რამითაა ფასეული — სხვებს უფრო აყრევინებს ბურთებს. ნეშმა ახლაც თავიდანვე პასების კეთება დაიწყო და სხვეეშხში შევიდა, 20 პასამდე ავიდა, რაც მიმდინარე რეგულარულის საყოველთაო რეკორდია. ნეშს პირად რეკორდამდე სულ რაღაც 2 პასი დააკლდა, თუმც ის არ გახლავთ სტატისტიკას გამოდევნებული მოთამაშე და რეკორდებს ნაკლებად დაგიდევთ, აკი ნამატჩევს თქვა, ჩემი რეკორდი რა მოსატანია, მთავარია, რომ გუნდმა მოიგოო. თუ რამ ცუდი არ შეემთხვა, ნეშის ალბათ ამ სეზონშიც ვერავინ შეეცილება პასებში.

ესეც ვთქვათ, „ფინიქსი" კანადელ გამთამაშებელს უნდა უმადლოდეს, ბოლო შვიდი შეხვედრა რომ მოიგო და დივიზიონის ლიდერ „ლეიკერსთან" ჩამორჩენას თამაშიდან თამაშამდე ამცირებს.

კოტე ყორშია

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 7 | 10 | 41,2 |
| ტორონტო | 7 | 10 | 41,2 |
| ნიუ იორკი | 7 | 13 | 35,0 |
| ბოსტონი | 5 | 11 | 31,3 |
| ფილადელფია | 5 | 11 | 31,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 11 | 7 | 61,1 |
| კლივლენდი | 10 | 7 | 58,8 |
| ინდიანა | 9 | 10 | 47,4 |
| ჩიკაგო | 8 | 9 | 47,1 |
| მილუოკი | 6 | 11 | 35,3 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 14 | 5 | 73,7 |
| ატლანტა | 7 | 9 | 43,8 |
| მაიამი | 7 | 10 | 41,2 |
| ვაშინგტონი | 7 | 10 | 41,2 |
| შარლოტი | 5 | 12 | 29,4 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 13 | 5 | 72,2 |
| დალასი | 13 | 5 | 72,2 |
| ჰიუსტონი | 12 | 5 | 70,6 |
| ნიუ ორლეანი | 8 | 8 | 50,0 |
| მემფისი | 4 | 13 | 23,5 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 15 | 4 | 78,9 |
| დენვერი | 10 | 5 | 66,7 |
| მინესოტა | 7 | 9 | 43,8 |
| სიეტლი | 8 | 11 | 42,1 |
| პორტლენდი | 7 | 12 | 36,8 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 12 | 5 | 70,6 |
| ფინიქსი | 10 | 6 | 62,5 |
| კლიპერსი | 9 | 8 | 52,9 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 10 | 47,4 |
| საკრამენტო | 8 | 9 | 47,1 |

# ლიგის ლიდერები

## ქულები

| | |
|---|---|
| 1 კარმელო ენტონი (დენვერი) | 32,2 |
| 2 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 31,6 |
| 3 მაიკლ რედი (მილუოკი) | 29,7 |
| 4 ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 28,7 |
| 5 დუეინ ვეიდი (მაიამი) | 27,7 |
| 6 ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 27,4 |
| 7 ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 27,2 |
| 8 კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 26,1 |
| 8 ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი) | 26,1 |
| 8 ზაკ რენდოლფი (პორტლენდი) | 26,1 |
| 11 იაო მინი (ჰიუსტონი) | 25,7 |
| 11 პოლ პირსი (ბოსტონი) | 25,7 |
| 13 რეი ალენი (სიეტლი) | 25,3 |
| 14 დირკ ნოვიცკი (დალასი) | 24,3 |
| 15 რაშარდ ლუისი (სიეტლი) | 22,9 |
| 16 კარლოს ბუზერი (იუტა) | 22,7 |
| 17 რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი) | 22,3 |
| 18 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 21,9 |
| 18 კევინ მარტინი (საკრამენტო) | 21,9 |
| 20 კრის ბოში (ტორონტო) | 21,1 |
| 20 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 21,1 |
| 77 ზაზა ფაჩულია (ატლანტა) | 13,9 |

## პასები

| | |
|---|---|
| 1 სტივ ნეში (ფინიქსი) | 11,4 |
| 2 ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | 9,4 |
| 3 ანდრე მილერი (დენვერი) | 9,3 |
| 4 კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 9,2 |
| 5 დერონ უილიამსი (იუტა) | 9,0 |
| 6 ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) | 8,5 |
| 7 დუეინ ვეიდი (მაიამი) | 7,8 |
| 7 თიჯეი ფორდი (ტორონტო) | 7,8 |
| 9 ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | 7,7 |
| 10 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 7,3 |

## ჩაჭრები

| | |
|---|---|
| 1 რონ არტესტი (საკრამენტო) | 2,8 |
| 2 ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 2,3 |
| 3 კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 2,2 |
| 4 ანდრე იგუდალა (ფილადელფია) | 2,0 |
| 5 ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი) | 1,9 |

## მოხსნები

| | |
|---|---|
| 1 დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 13,5 |
| 2 ტაისონ ჩანდლერი (ნიუ ორლეანი) | 12,2 |
| 2 კარლოს ბუზერი (იუტა) | 12,2 |
| 2 კრის ბოში (ტორონტო) | 12,2 |
| 5 კევინ გარნეტი (მინესოტა) | 11,9 |
| 6 მარკუს კემბი (დენვერი) | 11,3 |
| 7 ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 11,0 |
| 8 ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 10,8 |
| 9 ელტონ ბრენდი (კლიპერსი) | 10,7 |
| 10 ზაკ რენდოლფი (პორტლენდი) | 10,3 |
| 33 ზაზა ფაჩულია (ატლანტა) | 7,9 |

## დაფარებები

| | |
|---|---|
| 1 ჯერმენ ონილი (ინდიანა) | 3,1 |
| 1 ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 3,1 |
| 3 ალონზო მურნინგი (მაიამი) | 2,7 |
| 4 მარკუს კემბი (დენვერი) | 2,6 |
| 4 ანდრეი კირილენკო (იუტა) | 2,6 |

## სროლები %

| | |
|---|---|
| 1 ერიკ დამპიე (დალასი) | 65,4 |
| 2 ანდრის ბიედრინსი (გოლდენ სტეიტი) | 63,5 |
| 3 დავიდ ლი (ნიუ იორკი) | 63,3 |
| 4 ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 62,5 |
| 5 დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 60,0 |

## სამქულიანები %

| | |
|---|---|
| 1 ლუკ უოლტონი (ლეიკერსი) | 63,0 |
| 2 ჯერალდ გრინი (ბოსტონი) | 56,0 |
| 3 ალ ჰარინგტონი (ინდიანა) | 55,6 |
| 4 კაილი კორვერი (ფილადელფია) | 55,1 |
| 5 ბრენტ ბერი (სან ანტონიო) | 50,8 |

## საჯარიმოები %

| | |
|---|---|
| 1 ბენო უდრიჰი (სან ანტონიო) | 96,4 |
| 2 სტივ ფრენსისი (ნიუ იორკი) | 92,8 |
| 3 რეი ალენი (სიეტლი) | 91,7 |
| 4 დირკ ნოვიცკი (დალასი) | 91,4 |
| 5 ჯარეტ ჯეკი (პორტლენდი) | 90,8 |

# სიენამ ბოისათი სარგებელი ნახა

## ვოვას გუნდმა ჯგუფიდან ცხვირი გაყო

**ულების თასი 2006-07**
**ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 5 დეკემბერი**

**A ჯგუფი**
ნანსი 93:83 ბროსე
პემოფარმი 76:69 ლიეტუვოს რიტასი
აეკ 70:58 კანარია
*ნანსი 10, რიტასი 10, პემოფარმი 10, კანარია 9, აეკ 8, ბროსე 7*

**B ჯგუფი**
ვენტსპილსი 89:74 ბეშიქთაში
ანვილი 78:85 FMP
სნაიდერო 75:73 სტრასბური
*FMP 11, სტრასბური 10, ვენტსპილსი 9, სნაიდერო 9, ბეშიქთაში 8, ანვილი 7*

**C ჯგუფი**
ალბა 71:73 სიენა
ალბა: ბოისა (21 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა)
ჰაპოელი 75:85 ხიმკი
ოსტენდე 60:67 აკადემიკი
*სიენა 11, აკადემიკი 10, ხიმკი 9, ჰაპოელი 8, ალბა 8, ოსტენდე 8*

**D ჯგუფი**
მონსი 106:108 უნიკსი
რეალი 84:81 ეიფეილ ტაუერსი
ცრვენა ზვეზდა 81:85 პაოკ
*ცრვენა ზვეზდა 11, უნიკსი 10, პაოკ 10, რეალი 9, მონსი 7, ეიფეილ ტაუერსი 7*

„შეუძლებელია, იყო გახარებული იმ მძიმე ტრავმის შემდეგ, რომელიც დემონდ გრინმა მიიღო. ჩვენ ყველანი მას გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ" — გამარჯვებით გამოწვეული სიხარული სულ არ ემჩნეოდა სიმონე პიანიჯანის, ვისმა „სიენამაც" ულებ-ის თასზე უმნიშვნელოვანესი მატჩი ფიცხელ ბრძოლაში მოუგო გერმანულ „ალბას" და ჯგუფიდან გასვლა თითქმის გაინაღდა.

თეორიულად სიენელების ჯგუფში ჩარჩენა შესაძლებელია, მაგრამ ალბათ სასწაული იქნება, აქამდე ლიდერად მოსულმა ვლადიმერ ბოისას გუნდმა ყველა დარჩენილი მატჩი რომ წააგოს.

და რა მოუვიდა ალბელ დემონდ გრინს? გერმანიის ნაკრების უკანახაზელმა მატჩის მეხუთე წუთზე სწრაფგარღვევისას ულამაზესად ჩატენა და ნუ იკითხავთ, რაც მას იატაკზე დაშვებისას შეემთხვა. გრინს ტერფი შემოუტრიალდა და მთელ სხეულით უხერხულად ამ ტერფს დაეცა. დაახლოებით 20 წუთი თამაში შეწყდა, მაყურებელთა მდედრი ნაწილის უმრავლესობა კი ტიროდა, ისეთი საშინელი სანახავი იყო მოტეხილი ფეხის ხილვა.

ამ მომენტმა მასპინძლები ისე მომართა, რომ გემარნელებს ხანდახან ზედმეტი მოსდიოდათ... „გრინის ტრავმის შემდეგ „ალბას" მოთამაშეები ძალიან აგრესიულად ათამაშდნენ და ჯარიმებმა და გაწევ-გამოწევამ იმატა — თქვა ნამატჩევს ვლადიმერ ბოისამ — მატჩის ბოლოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და თამაში კორექტულად ჩამთავრდა. ბოლო მეოთხედში იღბალი ჩვენს მხარეზე იყო, თუმც „სიენა" ისედაც გამართულად თამაშობდა. ის შეცდომები, რომლებსაც დასაწყისში ვუშვებდით, ბოლოს აღარ გავიმეორეთ, „ალბას" მოთამაშეებს ბურთს იოლად აღარ ვასროლინებდით და გავიმარჯვეთ კიდეც".

ბოისა სიენელთა ერთ-ერთი წინამძღოლი იყო. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა თამაში ხუთეულში დაიწყო — ასეთი რამ ამ სეზონში პირველად მოხდა. ვოვამ მოედანზე მთელი პირველი მეოთხედი გაატარა, მერე კი მწვრთნელი ეპიზოდებში რთავდა თამაშში, თუმც ბოლო 2 წუთში, როცა გამარჯვებულის ვინაობა ირკვეოდა, ბოისა საქმეში იყო.

გრინი რომ დაშავდა, „ალბას" მეტი მოტივაცია მიეცა და პირველი მეოთხედის ბოლოს 5 ქულით დაწინაურდა. ზედ სირენის წინ ბოისამ სამქულიანი ჩააგდო და „სიენა" პირველ შესვენებაზე 2-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა.

მეორეში გერმანელების უპირატესობამ ათ ქულას გადააჭარბა და „ალბა" სერიოზულ ჰანდიკაპს გადამწყვეტ მეოთხედამდე ინარჩუნებდა, თუმც სიენელებმა ბოლოს მაინც გამოიღეს ხელი — ჯოზეფ ფორტესა და ლონი ბაქსტერის აქტიურობით ანგარიში გაათანაბრეს და ბოლო წუთებში იმარჯვეს კიდეც 73:71.



ბოისას საბოლოოდ 11 ქულა დაუგროვდა და 4-ით ჩამორჩა „სიენას" ბომბარდირ ფორტეს, თუმც სარგებლიანობის საერთო კოეფიციენტით ვოვა თავის გუნდში საუკეთესო იყო ლიტველ რიმანტას კაუკენასთან ერთად.

„სიენა" მომავალ ტურში შინ „ჰაპოელს" ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლას ოფიციალურად გაიფორმებს.

**ირაკლი პერტაია**








# ბრეტ ჰალი მაღლა აწიეს

## სენტ ლუისში ძველი ბლუზმენი დააფასეს

**რეგულარული ჩემპიონატი**

5 დეკემბერი

**აილენდერსი 2:4 ოტავა**
*0:2 1:1 1:1*
0:1 ჰითლი (5), 0:2 სპეცა (19), 1:2 ჰილბერტი (30), 1:3 კორვო (40), 2:3 ბლეიკი (47), 2:4 ჰითლი (53)

**პიტსბურგი 2:3 ფლორიდა**
*1:1 0:1 1:1*
1:0 კრისტენსენი (8), 1:1 რობერტსი (15), 1:2 შტუმპელი (34), 2:2 კროსბი (51), 2:3 იოკინენი (55)

**ტამპა 1:4 ბუფალო**
*1:3 0:0 0:1*
1:0 ლეკავალიე (1), 1:1 ბრიარი (8), 1:2 დრური (11), 1:3 ბრიარი (18), 1:4 ბრიარი (53)

**კალგარი 3:0 კაროლინა**
*2:0 0:0 1:0*
1:0 ლენგკოუ (1), 2:0 ჰამრლიკი (18), 3:0 იგინლა (59)

**კოლორადო 0:3 კოლუმბუსი**
*0:2 0:1 0:0*
0:1 ჩიმერა (12), 0:2 კარტერი (15), 0:3 მოდინი (40)

**ტორონტო 2:5 ატლანტა**
*2:0 0:0 0:5*
1:0 ტაკერი (9), 2:0 პეკა (20), 2:1 მეტროპოლიტი (44), 2:2 კოზლოვი (48), 2:3 კოზლოვი (52), 2:4 ჰოსა (55), 2:5 კოვალჩუკი (60)

**მინესოტა 3:2 ჩიკაგო**
*1:2 1:0 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
0:1 ბოჩენსკი (4), 1:1 ტ. ვაიტი (12), 1:2 სმოლინსკი (18), 2:2 როლსტონი (33)

**სენტ ლუისი 1:5 დეტროიტი**
*0:3 0:1 1:1*
0:1 ზეტერბერგი (3), 0:2 დაციუკი (5), 0:3 კლირი (14), 0:4 ფილპულა (31), 0:5 ლანგი (56), 1:5 ბრიუერი (57)

გუშინ ნჰლ-ის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სნაიპერ ბრეტ ჰალს დიდი ზეიმი ჰქონდა — სენტ ლუისში მისი 16-ნომრიანი მაისური უკვდავყვეს და დარბაზის თაღქვეშ გამოკიდეს. ამიერიდან ამ ნომრით „ბლუზმენებში" ველარვინ ითამაშებს. ასე დააფასეს „ოქროს ბრეტის" მოღვაწეობა, რომელმაც თავისი ხანგრძლივი კარიერის 11 წელი სწორედაც რომ მისისიპის სანაპიროზე გაატარა.

ყოფილმა გუნდმა „დეტროიტმა" კი ჰალს ზეიმი მაგრად ჩაუშხამა, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი ბრეტთან ერთ სამეულში ნათამაშებმა ჰენრიკ ზეტერბერგმა და პაველ დაციუკმა შეიტანეს — პირველმა ანგარიში გახსნა, მეორემ გოლს შედეგიანი გადაცემაც დაამატა. სხვათა შორის, 16 უკანასკნელ შეხვედრაში ეს დაციუკის პირველი გოლი იყო.

„წითელმა ფრთებმა" კი ყოველგვარი დაძაბვის გარეშე მოიგეს და ერთადერთი რაზეც შეიძლება გული დაწყდეთ, ის არის, რომ დომინიკ ჰაშეკს სულ ცოტა დააკლდა მორიგ შათაუტამდე, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ხელი მცველმა ერიკ ბრიუერმა გამოიღო და ჰალს ცოტა მაინც გამოუკეთა ხასიათი.

„დეტროიტს" კი უკვე ზედიზედ 146 მატჩია, მინიმუმ ერთი შაიბა გააქვს — ეს საუკეთესოა ნჰლ-ში მოქმედი ანალოგიური სერიებიდან.

სხვა მატჩებიდან „ატლანტას" მორიგი წარამტებაა გამოსაყოფი — შარშან ჯორჯიელებმა „ტორონტოსთან" ოთხივე შეხვედრა წააგეს, მაგრამ მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ დასცეს „მეიპლ ლივზი". გუშინ ამაში ლომის წვლილი წარმოშობით ტორონტოელმა გლენ მეტროპოლიტმა შეიტანა.

საკუთარი ოჯახისა და ნათესავების წინაშე მეტროპოლიტმა ლამის კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და „ტრეშერზს" ორშაიბიანი ჩამორჩენა აღმოაფხვრევინა — სწორედ მან „გატეხა" პირველ ორ პერიოდში დიდებულად მოთამაშე ენდრიუ რეიკროფტი და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. მერე კი ჯორჯიელთა ლიდერებმა თქვეს თავისი წონადი სიტყვა — სლავა კოზლოვმა დუბლი გაახერხა, რასაც ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერებმა — მარიან ჰოსამ და ილია კოვალჩუკმა თითო მიუმატეს.

ყველაზე გამორჩეული გუშინ „ბუფალოს" კაპიტანი დანიელ ბრიარი იყო, რომელზეც, როგორც ჩანს, დადებითად იმოქმედა წინა შეხვედრაში ალექს ოვეჩკინის უხეშობამ — მაშ, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა ბრიარმა კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკი გაიფორმა და „სეიბრზს" „ტამპა" გასვლაზე წააქცევინა.

კენ ჰიჩკოკის მისვლის შემდეგ გამოცოცხლდა ცოცხალ-მკვდარი „კოლუმბუსიც", რომელმაც ამჯერად „კოლორადო" შეიწირა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ცისფერი ჟაკეტების" ფინელი კარის დარაჯ ფრედერიკ ნორენას თამაში, რომლისთვისაც მეორე მატჩია, გოლი ვერ გაუტანიათ, თუმც თვითონ სუომელი მეკარე ნამატჩევს ამბობდა, ყველა დარტყმული იოლი მოსაგერიებელი იყო და ერთი დიდი „სეივიც" კი არ გამიკეთებიაო.

დაბოლოს „ჩიკაგოს" წაგებაზეც ვთქვათ — დენი სავარის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ „ბლექჰოქსი" პირველად დამარცხდა, მაგრამ ქულას ამჯერადაც გამოჰკრა ხელი და „მინესოტასთან" მხოლოდ ბულიტებში წააგო.

თავისი თამაში იპოვა „ოტავამაც" — უკანასკნელი წლების ალბათ ყველაზე შემტევმა გუნდმა სეზონი ძალიან მძიმედ კი დაიწყო, მაგრამ ლიდერების ფორმაში შესვლასთან ერთად „სენატორებმაც" გამოასწორეს შედეგები. ამ ბოლო დროს კი განსაკუთრებით დენი ჰიტლი ჩაუქობს, რომელმაც გუშინაც დუბლი მიითვალა. თუმც კანადელებმა ლონგ-აილენდი მაინც ცუდ ხასიათზე დატოვეს, რადგანაც „ოტავას" კაპიტანმა დანიელ ალფრედსონმა ფეხი დაიზიანა და მატჩი ველარ ჩაამთავრა.

**კახა ლომაშვილი**

# საუკეთესო ქართველი მხოლოდ მეოთხეა



ბადრი კორინთელის ფოტო

ზაზა კედელაშვილი

**წლის** ბოლოა და სპორტული სეზონის შეფასება-შეჯამება დღითი დღე აქტუალური ხდება. 2007 წლის საუკეთესოების დასახელებამდე ევროპის ძიუდოს კავშირი უფრო შორეულ წარსულს გადასწვდა და დიდი რეიტინგსია გამოაქვეყნა. მასში ათენის ოლიმპიადიდან მოყოლებული ყველა დიდი ტურნირის შედეგია შეკრებილი. ცხადია, პირველ რიგში ჩვენებურთა სარეიტინგო ქულებით დავინტერესდით. საუკეთესო ათეულში მხოლოდ მძიმეწონიანი ქართველები ვერ მოხვდნენ. საწყის ხუთ წონაში კი შვიდეულს არ ჩამოსცდენიან.

საუკეთესო მაჩვენებელი 66 კილოგრამში მოჭიდავე ზაზა კედელაშვილს აქვს. ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა ბოლო ორ წელიწადში 198 ქულა დააგროვა. აქედან 100 სწორედ ევროპული ოქროსთვის მიიღო და ამჟამად თავის წონაში მსოფლიოს მეოთხე ნომრად ითვლება. ლიდერი კი 300-ქულიანი კუბელი იორდანის არენსიბიაა.

60-კილოგრამიანმა ვახტანგ ხოსიტაშვილმა მსოფლიოს თასებსა და სუპერთასებზე დაგროვებული ქულებით მეექვსე ადგილამდე აიწია და უკან ნესტორ ხერგიანიც კი მოიტოვა. უმსუბუქესთა ამალას სათავეში 2005 წლის მსოფლიოსა და 2006 წლის ევროპის ბრიტანელი ჩემპიონი კრეიგ ფელონი უდგას.

მეშვიდე ადგილზე დგანან დავით ქევხიშვილი (73 კგ), გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ) და ზურაბ ზვიადაური (90 კგ). მართალია, ამ უკანასკნელმა ათენი-2004-ის მერე მხოლოდ 44 ქულა დააგროვა, მაგრამ ათეულში პოზიციას ოლიმპიური ოქროსთვის დარიცხული 125 ქულა უნარჩუნებს. მას კვალში 157-ქულიანი ირაკლი ცირეკიძე უდგას. სიის სათავეში რუსი ევროპის ჩემპიონი ივან პერშინი (226) იმყოფება.

100 კილოგრამი რომ შოთა ხაბარელის გუნდში სუსტი წერტილია, ეს რეიტინგშიც კარგად ჩანს. გიორგი ყიზილაშვილი და ლევან ჟორჟოლიანი ოცეულს მიღმა არიან. შედარებით უკეთესი მაჩვენებელი აქვთ მძიმეწონოსნებს. ოცეულში ერთბაშად სამი ჩვენებური დამკვიდრებულა, თუმცა ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი და ადამ ოქრუაშვილი ათეულს ვერ შეწვდნენ.

**ოთარ მხეიძე**

| 60 კგ | | |
|---|---|---|
| 1 | კრეიგ ფელონი (ბრიტანეთი) | 245 |
| 2 | ნამ სუკ ჩო (ს. კორეა) | 225 |
| 3 | ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია) | 205 |
| 4 | ტადაჰირო ნომურა (იაპონია) | 185 |
| 5 | არმენ ნაზარიანი (სომხეთი) | 170 |
| 6 | ვახტანგ ხოსიტაშვილი | 155 |
| 8 | ნესტორ ხერგიანი | 145 |
| 48 | დავით სვიმონიშვილი | 33 |

| 66 კგ | | |
|---|---|---|
| 1 | იორდანის არენსიბია (კუბა) | 300 |
| 2 | ჟოაო დერლი (ბრაზილია) | 274 |
| 3 | მასატო უჩიშიბა (იაპონია) | 235 |
| 4 | ზაზა კედელაშვილი | 198 |
| 5 | მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი) | 190 |
| 19 | მინდია ხომიზური | 80 |
| 27 | დავით მარგოშვილი | 57 |

| 73 კგ | | |
|---|---|---|
| 1 | ვონ-ჰი ლი (ს. კორეა) | 260 |
| 2 | აკოშ ბრაუნი (უნგრეთი) | 200 |
| 3 | ბრაიან ვან დიკი (ჰოლანდია) | 194 |
| 4 | სალამუ მეჟიდოვი (რუსეთი) | 190 |
| 5 | ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი) | 167 |
| 7 | დავით ქევხიშვილი | 129 |

| 81 კგ | | |
|---|---|---|
| 1 | ფლავიო კანტო (ბრაზილია) | 300 |
| 2 | ჯილომ ელმონი (ჰოლანდია) | 210 |
| 3 | სერგეი შუნჯიკაუ (ბელარუსი) | 180 |
| 4 | სერგეი აშვანდენი (შვეიცარია) | 174 |
| 5 | ჯუზეპე მადალონი (იტალია) | 170 |
| 7 | გრიგოლ მამრიკიშვილი | 144 |
| 42 | გიორგი ბაინდურაშვილი | 32 |
| 45 | გრიგოლ შინჯიკაშვილი | 26 |

| 90 კგ | | |
|---|---|---|
| 1 | ივან პერშინი (რუსეთი) | 226 |
| 2 | ილიას ილიადისი (საბერძნეთი) | 199 |
| 3 | ჰიროში იზუმი (იაპონია) | 175 |
| 4 | დავიდ ალარზა (ესპანეთი) | 174 |
| 5 | რობერტო მელონი (იტალია) | 170 |
| 7 | ზურაბ ზვიადაური | 169 |
| 8 | ირაკლი ცირეკიძე | 157 |

| 100 კგ | | |
|---|---|---|
| 1 | რუსლან გასიმოვი (რუსეთი) | 275 |
| 2 | იგორ მაკაროვი (ბელარუსი) | 205 |
| 3 | კვანგ სუნ იო (ს. კორეა) | 205 |
| 4 | ასხაბ კოსტოევი (რუსეთი) | 196 |
| 5 | ორეიდის დესპაინი (კუბა) | 165 |
| 21 | გიორგი ყიზილაშვილი | 80 |
| 23 | ლევან ჟორჟოლიანი | 76 |
| 27 | ივერი ჯიქურაული | 63 |
| 38 | გიორგი გუგავა | 46 |

| +100 კგ | | |
|---|---|---|
| 1 | ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი) | 290 |
| 2 | იასუიუკი მუნეტა (იაპონია) | 225 |
| 3 | ტამერლან ტმენოვი (რუსეთი) | 205 |
| 4 | დანიელ ერნანდესი (ბრაზილია) | 200 |
| 5 | ანდრეას ტოელსერი (გერმანია) | 194 |
| 13 | ზვიად ხანჯალიაშვილი | 102 |
| 14 | ლაშა გუჯეჯიანი | 100 |
| 18 | ადამ ოქრუაშვილი | 78 |
| 25 | ალექსი დავითაშვილი | 64 |



ეროვნული ბიბლიოთეკა



# კომპიუტერმა ადამიანი დაჯაბნა

## დაღლილ კრამნიკს აღარც რისკმა არგო

**გერმანულ** ბონში ადამიანისა და კომპიუტერის დაპირისპირება მანქანის გამარჯვებით დასრულდა. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა კომპიუტერულ პროგრამა „დიპ ფრიცთან“ ვერაფერი გააწყო და 2:4 დამარცხდა.

ბოლო, მეექვსე შეხვედრაში კრამნიკმა თამაში სიცილიური დაცვით არჩია და მესამე სვლაზევე პაიკი გაუცვალა მეტოქეს. ჩანდა, დიდოსტატი ამ პარტიაში არაფერს დათმობდა და მოსაგებად ყველაფერს გააკეთებდა. მან უკანა ფლანგი გაამლიერა, ლაზიერი ღია ადგილას დააყენა და მტრის დასახვედრად მოემზადა.

კომპიუტერმა მე-12 სვლაზე შეუტია კრამნიკს, თუმც ვერაფერი დააკლო, უკან დაიხია და დაძაბულობაც განიმუხტა. მოჭადრაკემ ხელმწიფის დაცვა გაამლიერა, ლაზიერის ფლანგზე კი დედოფალ-ეტლები დააყენა და თეთრებს დაუმიზნა. „დიპ ფრიცმა“ ზუსტად გათვალა კრამნიკის გეგმები, საპასუხოდ მძიმე ფიგურებით მანევრებს მიმართა და 30-ე სვლაზე პაიკი მოიგო. უპირატესობაში მყოფმა მანქანამ კიდევ უფრო გაამლიერა დაწოლა, ადამიანს ეტლებით შეუტია და 47-ე სვლაზე მეორე მარცხი აგემა.

„ვფიქრობ, ვლადიმირმა თავისი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩში ვესელინ ტოპალოვთან იგი საკმაოდ გადაიღალა და ძალების აღსადგენად დრო აღარ ეყო — განაცხადა „დიპ ფრიცის“ წარმომადგენელმა — მიუხედავად ამისა, კრამნიკის თამაში ძალიან მომეწონა და მგონია, რომ მის გარდა კომპიუტერს ასეთ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა.

„ბოლო მატჩში მოგება ძალიან მინდოდა და რისკზეც წავედი, თუმც კომპიუტერს ვერ ვაჯობე და დავმარცხდი. იმედია, ასეთი მატჩი კვლავაც გაიმართება და იქ უკვე უკეთესად ვითამაშებ“ — განაცხადა კრამნიკმა.

მატჩს ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვიც გამოეხმაურა:

„მიუხედავად იმისა, რომ კრამნიკი დამარცხდა, ვერ ვიტყვით, კომპიუტერი ადამიანს ჯობნისო. ტოპალოვთან მატჩის შემდეგ კრამნიკი გადაიღალა და სულელური შეცდომები ამიტომ დაუშვა. კომპიუტერი კი საოცარი სისწრაფით ვითარდება და მიმაჩნია, რომ ასეთი შეხვედრები მომავალშიც უნდა გაიმართოს.“

დამარცხებულმა კრამნიკმა ჰონორარის სახით ნახევარი მილიონი დოლარი მიიღო.



# ოქსანა და ნარინჯის ბურთი

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი ფლორიდის შტატის ქალაქ კი ბისკეინში დაიწყო „ორანჟ ბოულის“ ტრადიციული საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც იუნიორთა არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატად ითვლება და ჩოგბურთის ხვალინდელი დღის ერთგვარ დაიჯვალიერებას წარმოადგენს.

ჩვენებურთაგან კი ბისკეინში 16 წლის ოქსანა კალაშნიკოვა თამაშობს, რომელმაც შარშან 16 წლამდელთა ტურნირი მოიგო. წლეულს ოქსანა 18 წლამდელებში ასპარეზობს და ამ ასაკის გოგონათა რეიტინგის 41-ე ნომერმა წარმატებით დაძლია პირველი ბარიერი. კალაშნიკოვას მეტოქედ რეიტინგში მასზე სამი ადგილით მაღლა მყოფი 14 წლის ჰოლანდიელი ტამარინ ჰენდლერი ჰყავდა და 6:2 1:6 6:0 დაამარცხა.

მეორე წრეში ოქსანა ტურნირზე „ვილდ ქარდით“ მოხვედრილ 15 წლის ამერიკელ ასია მუჰამედს დაუპირისპირდება, რომელმაც პირველ წრეში 6:2 6:3 დაჯაბნა მექსიკელი პამელა მონტესი.

ამ კვირაში კიდევ ერთი ჩვენებური თამაშობს. საქართველოს სადევისთასო ნაკრების მე-2 ნომერი ლადო ჩიხლაძე ჩეხეთის ქალაქ ოპავას ჭერქვეშ ხალიჩაზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირში ცდის ძალებს და პირველ წრეში კორტის მასპინძელს, 23 წლისა და რეიტინგში 532-ე ადგილზე მყოფ დავიდ ნოვაკს შეხვდება. თუ ნოვაკს მოუგებს, მერე ლადოს მეტოქე ან მეხუთე ნომრად განთესილი ფრანგი ალექსანდრ რენარდი იქნება, ან ავსტრიელი კრისტიან მაგი.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი VI ტური

## E ჯგუფი

### დინამო 2:2 რეალი

1:0, 2:0 შაცკიხი (13, 27), 2:1, 2:2 რონალდო (86, 88პ)
დინამო: შოვკოვსკი, მარკოვიჩი, როდრიგო, როდოლფო (მანძიუკი 34), ნესმაჩნი, ო. გუსევი, იუსუფი, მიხალიკი, ბელკევიჩი, მილევსკი (როტანი 86), შაცკიხი
მწვრთნელი: ანატოლი დემიანენკო
რეალი: დ. ლოპესი, სალგადო, მ. ტორესი, მეხია, რ. კარლოსი, ნიეტო (ბორხა 74), ბექჰემი, მ. დიარა, დე ლა რედი (ხავი გარსია 70), რონალდო, კასანო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: როდრიგო, რონალდო
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
33 000 მაყურებელი

### ლიონი 1:1 სტიაუა

0:1 დიკა (2), 1:1 დიარა (12)
ლიონი: კუპე, რეველიერი, კასაპა, მიულერი, ბერტოდი, ტიაგუ (ტულალანი 65), ა. დიარა, კალსტრიომი, გოვუ (რემი 80), კარეუ (ვილტორდი 65), ბენ აფრა
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
სტიაუა: ჩერნია, სტანჩუ, გიონია, გოიანი, მარინი, ნიკოლიტა, რადოი (პეტრე 78), პარასკივი, დიკა, კრისტოჩია (ოპრიტა 82), ტერეაუ (ბადია 73)
მწვრთნელი: კოზმინ ოლაროიუ
გაფრთხილება: დიკა, პარასკივი, კასაპა, რადოი
მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)
39 351 მაყურებელი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:3 | 14 |
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:8 | 11 |
| სტიაუა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| დინამო | 6 | 0 | 2 | 4 | 5:16 | 2 |

## F ჯგუფი

### კოპენჰაგენი 3:1 სელტიკი

1:0 ჰათჩინსონი (2), 2:0 გრონკიაერი (27), 3:0 ოლბოკი (57), 3:1 იაროშიკი (75)
კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, იაკობსენი (ნორეგაარდი 56), ჰანგელანდი, გრავგაარდი, ვენდტი, სილბერბაუერი, ლინდეროთი, კვისტი, გრონკიაერი (ბერგლუნდი 90), ოლბოკი (ბერგვოლდი 81), ჰათჩინსონი
მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი
სელტიკი: ბორუცი, უილსონი, ბალდე, მაკმანუსი (ო დია 73), ნეილორი, გრავესენი (ნაკამურა 69), ლენონი, იაროშიკი, მაკგიდი (პირსონი 69), ჟურავსკი, მილერი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: მილერი, იაროშიკი, მაკმანუსი, გრონკიაერი
მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)
38 647 მაყურებელი

### მანჩესტერი 3:1 ბენფიკა

0:1 ნელსონი (27), 1:1 ვიდიჩი (45), 2:1 გიგზი (61), 3:1 საა (75)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (ჰაინცე 68), რონალდუ, კარიკი, სქოულზი (სოლსკიაერი 79), გიგზი (ფლეტჩერი 74), რუნი, საა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბენფიკა: კიმი, ნელსონი, ლუიზაო, რ. როჩა, ლეო, კაცურანისი, პეტიტი, სიმაო, ნუნუ ასისი (კარაგუნისი 73), ნუნუ გომეში, მიკოლი (ჰ. ჟორჟე 64)
მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში
გაფრთხილება: როჩა, რუნი, ფლეტჩერი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
74 955 მაყურებელი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:5 | 12 |
| სელტიკი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | 9 |
| ბენფიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| კოპენჰაგენი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | 7 |

## G ჯგუფი

### პორტუ 0:0 არსენალი

პორტუ: ელტონი, ბოსინგვა, პეპე, ბ. ალვეში, ფუსილე, ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, მეირელეში (ბარეტო 86), კვარესმა, ლ. ლოპესი, პოშტიგა (მორაეში 81)
მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა
არსენალი: ლემანი, ებუ, ტურე, ჯუ-რუ, კლიჩი, გლები, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, ლიუნგბერგი, ფლამინი, ადებაიორი (ვან პერსი 79)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
41 500 მაყურებელი

### ჰამბურგი 3:2 ცსკა

0:1 ოლიჩი (23პ), 1:1 ბერიშა (28), 1:2 ჟირკოვი (65), 2:2 ვან დერ ვაარტი (84), 3:2 სანოგო (90)
ჰამბურგი: ვეხტერი, მაჰდავიკია, რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა (ფილჰაბერი 70), იაროლიმი (სანოგო 83), ლაასი, ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი, ლიუბოია (გერერო 75), ბერიშა
მწვრთნელი: თომას დოლი
ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, ვ. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, კრასიჩი, ტარანოვი (ოდია 77; კოჩუბეი 87), ალდონინი, ჟირკოვი, დუდუ (გრიგორიევი 9), ოლიჩი, დანი კარვალიუ
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
გაფრთხილება: დუდუ, ატუბა, ვ. ბერეზუცკი
გაძევება: ატუბა (70)
მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)
46 699 მაყურებელი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| პორტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ცსკა | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | 8 |
| ჰამბურგი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:15 | 3 |

## H ჯგუფი

### მილანი 0:2 ლილი

0:1 ოდემვინჯი (7), 0:2 კეიტა (67)
მილანი: კალაჩი, ბონერა, შიმიჩი, კალაძე, იანკულოვსკი, ბროკი (ზეედორფი 46), პირლო, ამბროზინი (კაკა 54), გურკუფი, ინძაგი, ბორიელო (ოლივეირა 72)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლილი: მალიკი, შალმე, პლესტანი, ტავლარიდისი, ტაფორო, ა. კეიტა (იულა 83), კაბაიე, ბოდმერი (ფოვერჟი 89), მაკუნი, დებუში, ოდემვინჯი (რობაილი 73)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
გაფრთხილება: კეიტა
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
27 067 მაყურებელი

### ანდერლეხტი 2:2 აეკ

1:0 ვანდენ ბორე (38), 2:0 ფრუტოსი (69), 2:1 ლაკისი (75), 2:2 ჩირილო (81)
ანდერლეხტი: ჟიტკა, პარეხა, დე მანი, იუჰაში, დეშახტი, ვანდენ ბორე, ბილია, ა. ჰასანი (ბუსუფა 65), გოორი, ფრუტოსი (ლეჟარი 80), ტშიტე
მწვრთნელი: ფრენკი ვერკუტერენი
აეკ: სორენტინო, პაუტასო, ჩირილო, პაპასტათოპულოსი, გეორგიასი, კირიაკიდისი (ლაკისი 50), ზიკოსი, მანდუკა (დელიბაშიჩი 58), ტოშერი, ლიბეროპულოსი, ჟულიო სეზარი (ჰატემაი 58)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
27 000 მაყურებელი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | 10 |
| ლილი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 9 |
| აეკ | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | 8 |
| ანდერლეხტი | 6 | 0 | 4 | 2 | 7:11 | 4 |

## ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული
მატჩები

ნიუკასლი 3:2 რედინგი
ვესტ ჰემი 0:2 უიგანი

პირველი ლიგა
XX ტური

ჩესტერფილდი 0:0 ნორთჰემპტონი

კონფერენსლიგა. XXI ტური

სენტ ალბანსი — მორეკემბი
გადაიდო

## იტალია

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

ჯენოა 0:1 *ემპოლი* (0:1)
ლივორნო 1:1 *არეცო* (1:2)

## ხორვატია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი

*ჰაიდუკი* 3:2 ციბალია (3:2)

## ამხანაგური მატჩი

საამიროები 2:5 პოლონეთი



„ლილთან" წაგებული მატჩი მილანელმა კახა კალაძემ კაპიტნის სამკლავურით ჩაამთავრა

# ალოგიკა უსენსაციოდ

**ჩემპიონთა** ლიგის ჯგუფური ეტაპი სენსაციის გარეშე, მაგრამ, ცოტა არ იყოს, სენსაციური ანგარიშებით დასრულდა. არადა, დასაწყისი ისეთი იყო, კაცი იფიქრებდა, შარშანდელი ისტორია გამეორდება და ლისაბონის „ბენფიკა" „მანჩესტერ იუნაიტედს" ჯგუფში ჩატოვებსო. მატჩის 28-ე წუთზე პორტუგალიელები ნელსონის ულამაზესი გასროლით დაწინაურდნენ და პირველი ტაიმი ასე რომ დასრულებულიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა. ეგ არის, „არწივებმა" „წითელი ეშმაკების" დაწოლას ვერ გაუძლეს და შესვენებამდე წამებით ადრე ნემანია ვიდიჩმა რაიან გიგზის ჩაწოდებული ბურთი თავით გადაგზავნა კარში.

მეორე ტაიმში „მანჩესტერმა" იოლად მიიყვანა საქმე ბოლომდე. კრიშტიანუ რონალდუს ჩაწოდებისას „ბენფიკას" დაცვა კიდევ ერთხელ შეცდა და გიგზმა მასპინძლები დააწინაურა. ბოლო წერტილი ლუი საამ თავურითვე დასვა.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში „კოპენჰაგენმა" იოლად მოუგო უმოტივაციო „სელტიკს", რომელსაც მერვედფინალის საგზური განაღდებული ჰქონდა.

A ჯგუფში ჟერარ ულიეს „ლიონმა" საკუთარ „ჟერლანზე" დიახაც, ვერ სძლია ბუქარესტის „სტიაუას" — გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და 1:1.

კიევის „დინამო" მაქსიმ შაცკიხის წყვილი გოლით თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უგებდა „რეალს", მაგრამ მადრიდელებმა უკრაინელებს კარი არ გააჯახუნებინეს. რონალდოს პირველი გოლი 86-ე წუთზე დევიდ ბექჰემის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა. სამ წუთში კი ბრაზილიელმა თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა — 2:2.

„პორტუსა" და „არსენალის" მატჩი ისევე დამთავრდა, როგორც დაიწყო. ეს გასაკვირი არც არის, ფრეს ორივე გაჰყავდა ჯგუფიდან. მოსკოვის ცსკა-მ კი თავი იმით უნდა დაიმშვიდოს, რომ 69-ე წუთის მერე ათი კაცით დარჩენილ „ჰამბურგთან" წაგების მიუხედავად მერვედფინალში მაინც ვერ გაღიოდა.

დრამატულად განვითარდა მოვლენები H ჯგუფში, კერძოდ, „ანდერლეხტისა" და აეკ-ის შეხვედრაში. ბელგიელები 75-ე წუთამდე 2:0-ს იგებდნენ, 81-ე წუთზე კი ანგარიში უკვე 2:2 იყო, მაგრამ ბერძნებმა მეტი ვეღარ შეძლეს და მერვედფინალი ოცნებად დაურჩათ.

„ლილმა" კი თავისი ამოცანა მშვენივრად შეასრულა, „სან სიროზე" „მილანს" 2:0 მოუგო და მეორე ადგილზე გავიდა.

**გიორგი ძაძამიძე**





# ჯონი, კვლავ ჩოგნით

მარშ-ენ-ფამეში „პანასონიკის“ ლეგენდათა თასის ტურნირი მიმდინარეობს. ძველი ჩოგბურთელები ხალისიანად მისდევენ თამაშს. ჯონ მაკინროის მეტოქე, ირანელი მანსურ ბაჰრამი ყოფილა.



# საპატიო მოქალაქე

მიხაელ შუმახერი ან პენსიონერია, თუმცა, მოწყენილი სულაც არ არის. აი, მარანელოს საპატიო მოქალაქედაც აირჩიეს. მარანელო „ფერარის“ და ფერართა სამშობლოა და უკეთეს ფერარელს მერი ლუჩია ბურსი ვერც იპოვნიდა.



# ფეხფრენბურთი

დოჰაში მე-15 აზიური თამაშები გაჩაღებულა. იქ, ასე ვთქვათ, ფეხფრენბურთიც ჩაურთავთ, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან სპორტის ეს სახეობა უკვე ხუთასი წლისაა. ამ ფოტოზე ერთმანეთს ტაილანდისა და კორეის გუნდები ებრძვიან. ტაიათა ნაკრებს მოუგია.

# საკეტი

ამას საკეტი ჰქვია: ორმა ფილადელფიელმა, შელდონ ბრაუნმა (24) და ტრენტ კოულმა ასე შეაჩერეს კაროლინელი დრიუ კარტერი.





# პარიზული მხედრობა

პარიზში დიდი საცხენოსნო შოუ მიმდინარეობს. სანახაობა მშვენიერია და ხალხიც მრავლად ესწრება. ეს კი გერმანელი მხედარი დანიელ დოისერია, რომელიც აფსილონ დოკიერზე ამხედრებული ჩაუქობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა:
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge